

# რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარების უფლება

საერთაშორისო სტანდარტებისა და  
პრაქტიკის კვლევა



ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

კვლევის ავტორი: ეკატერინე ლომთათიძე

პროექტის ხელმძღვანელი: მარიამ ღავთაძე

კვლევა მომზადდა ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამისა და ევროპული წვლილი დემოკრატიისთვის (EED) მხარდაჭერით.

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებლები არიან ავტორი და ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის და ევროპული წვლილი დემოკრატიისთვის შეხედულებებს.



**USAID საპარტოლის უზენაესობის პროგრამა**  
**USAID RULE OF LAW PROGRAM**



©ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2023

## შინაარსი

### შესავალი

#### კვლევის საგანი და მეთოდი

1. სტანდარტების მიმოხილვა: გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო

1.1. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრაქტიკა

1.2. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებები

1.3. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები

#### 1.4. დასკვნა

2. რელიგიურ სიმბოლოებთან დაკავშირებული კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

2.1. საფრანგეთი

2.2. გაერთიანებული სამეფო

2.3. გერმანია

2.4. ბელგია

2.5. ნიდერლანდები

2.6. ესტონეთი

2.7. საბერძნეთი

2.8. პოლონეთი

2.9. დასკვნა

3. რელიგიურ სიმბოლოებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

## შესავალი

21-ე საუკუნის ევროპაში განსაკუთრებით აქტუალური და წინააღმდეგობრივი გახდა ისეთი პერსონალური საკითხი, როგორცაა რელიგიური სიმბოლოების და რელიგიური სამოსის ტარება.<sup>1</sup> ამას სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, თუმცა ეროვნული იდენტობის ძიება და ქსენოფობია განსაკუთრებით ხშირად იკვეთება ამ დისკურსში.

ისევე, როგორც თავად რელიგიის განმარტება, რელიგიური სამოსის განმარტებაც პრობლემურია და წარმოშობს საკითხების მთელ წყებას იმასთან დაკავშირებით, ვინ უნდა შეაფასოს, რა არის ან არ არის რელიგიური სამოსი. თუმცა, ამაზე უფრო რთული პრობლემაა ამ უფლების დაბალანსება სხვა ინტერესებთან, ბალანსის ცვლილება კონტექსტის მიხედვით არამარტო სივრცეში, არამედ დროშიც.

ამგვარი სირთულის მიუხედავად რელიგიური სიმბოლოებისა და სამოსის ტარებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა სამართლის გადასახედიდან ორი რამ უნდა აღინიშნოს აბსოლუტური სიციხადით:

- იმის გამო, რომ ევროპაში არ არსებობს კონსესუსი რელიგიური სამოსის ტარებასთან დაკავშირებით და ეს არსებითად არის საჯარო სივრცეში სხვადასხვა ჯგუფებისა და რელიგიების ჰარმონიულ თანაარსებობასთან დაკავშირებული საკითხი, ადამიანის უფლებათა სამართალი აღიარებს, რომ ამ საკითხის რეგულირებისას სახელმწიფოებს ფართო შეფასების თავისუფლება უნდა ჰქონდეთ, რათა შეძლონ სხვადასხვა ინტერესს შორის ბალანსის მიღწევა და იმის უზრუნველყოფა, რომ არავის ინტერესი შეილახოს.<sup>2</sup>
- რელიგიური სიმბოლოს ან სამოსის ტარების შეზღუდვა იწვევს რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების, ისევე როგორც თანასწორობის უფლების შეზღუდვას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს ფართო შეფასების თავისუფლება აქვთ საჯარო სივრცეში რელიგიის ხილვადობის საკითხების რეგულირებისას და სხვადასხვა ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსის მიღწევისას, ეს არ ათავისუფლებს მათ თითოეული შეზღუდვის წონიანი დასაბუთების ვალდებულებისგან.

---

<sup>1</sup> Sarah Lanier Flanders, What Not to Wear: Religious Dress and Workplace Policies in Europe, 47 GA. J. INT'L & COMP. L. 575 (2019), გვ. 577

<sup>2</sup> Ebrahimian c. France, application no. 64846/11, 26.11.2015, პარ. 45

უფლების არსისა და მისი შეზღუდვის ტესტების გაანალიზებისთვის ქვემოთ განხილულია გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა რელიგიური სამოსის ტარების უფლებასთან დაკავშირებით, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა. იმ კონტექსტში, როდესაც საქართველოს ევროკავშირის დასაქმებაში თანასწორობის დირექტივის 2000/78/EC იმპლემენტაციის ვალდებულება აქვს, მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართებით პრაქტიკა მაქსიმალურად ინფორმირებული იყოს, რათა შესაძლებელი გახდეს განსხვავებულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის მიღწევა.

## კვლევის საგანი და მეთოდი

ეს კვლევა ეხება რელიგიური სიმბოლოებისა და სამოსის ტარების უფლებას, რომელიც, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ხშირად კონტექსტზე მიბმული უფლებაა.<sup>3</sup> მართლაც, ქვემოთ განხილული საქმეებიდან ჩანს, რომ შეზღუდვების კონტექსტს ბევრად უფრო მეტი სივრცე და მსჯელობა ეთმობა ამ დისკუსიაში, ვიდრე იმის გარკვევას, რა შეიძლება ჩაითვალოს რელიგიურ სამოსად ან სიმბოლოდ.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, ვისი პერსპექტივაა უპირატესი საგნის რელიგიურ სიმბოლოდ მიჩნევისათვის; ეს სუბიექტური თუ ობიექტური შეფასების საკითხია<sup>4</sup>. ამასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა, რომელიც პრინციპში ასახავს სხვა სასამართლოების მიდგომასაც, გადმოცემულია საქმეში ჰამიდოვიჩი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის წინააღმდეგ, სადაც სასამართლომ რელიგიის თავისუფლების გამოვლინებად და რელიგიურ სიმბოლოდ მიიჩნია განმცხადებლის ქუდი, რომლის ტარება უფრო კულტურული ჩვეულება იყო, ვიდრე რელიგიიდან მომდინარე ვალდებულება. რამდენადაც თავად განმცხადებელს გულწრფელად მიაჩნდა, რომ ამ ქუდის ტარება მისი რელიგიის მოთხოვნა იყო, სასამართლომაც ასე ჩათვალა.<sup>5</sup> თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ გარკვეული ობიექტურად არსებული ინფორმაციის გარეშე სასამართლოები სრულად მიენდობიან ინდივიდების

---

<sup>3</sup> M. D Evans, A. Weber, Manual on the Wearing of Religious Symbols in Public Areas, 2009, გვ. 62.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 64

<sup>5</sup> Hamidović v. Bosnia and Herzegovina, application no. 57792/15, 5.12.2017

შეხედულებებს იმასთან დაკავშირებით, რა წარმოადგენს რელიგიურ ჩაცმულობას და რა არა:

“შეიძლება სადავო იყოს, რომ რელიგიური სიმბოლოს ტარებით პირი არა მხოლოდ მოქმედებს თავისი რწმენის სისტემის შესაბამისად, არამედ თავად ამ აქტით გამოხატავს მისი მხრიდან ამ რწმენის მოთხოვნათა კეთილსინდისიერ შესრულებას და ამ მხრივ ამ საკითხზე დამატებითი მსჯელობა არ არის საჭირო. თუმცა, იმის განსაზღვრის საჭიროება, ჩაცმულობის, სამკაულების, ა.შ. ეს კონკრეტული ფორმა მართლაც ისეა არჩეული, როგორც რელიგიური სიმბოლო ან რელიგიური შინაარსის მატარებელია, თუ მას ატარებენ რაიმე სხვა მიზეზით, როგორცაა კომფორტი, სოციალური ნორმების შესრულება, მოდა ან სულაც რელიგიის უპატივცემულობა - შეიძლება მართლა საჭიროებდეს გამოკვლევას იმის განსაზღვრად, ხვდება თუ არა საკითხი [კონვენციის] მე-9 მუხლის მოქმედების სფეროში.”<sup>6</sup> ამგვარი მსჯელობის მაგალითია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ისლამურ თავსაბურავთან დაკავშირებით იმის ხაზგასმა, რომ საჯარო ადგილებში თავის დაფარვა ბევრი ისლამური ჯგუფისთვის იმპერატიული მოთხოვნაა, და რწმენის რაც უფრო იმპერატიულ მოთხოვნას ეხება საქმე, მით მეტი წონა უნდა მიენიჭოთ მათ ინტერესთა დაბალანსებისას (განხილულია ქვემოთ, III თავის, “გ” ქვეთავში).

რელიგიურ სამოსთან და სიმბოლოებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზოგი რელიგიისათვის ჩაცმულობით გამოხატვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა რელიგიისთვის. “ბევრი რელიგია, მათ შორის იუდაიზმი, ისლამი და სიქჰიზმი შეიცავს თავსაბურავთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომელიც ხილულად მიუთითებს პირის რელიგიურ კუთვნილებაზე და ზოგჯერ ეროვნებაზეც. რაც უფრო მნიშვნელოვანია რელიგია პირისთვის, მეტად შეიძლება უნდოდეს მას ამ რელიგიის ჩაცმულობის მეშვეობით გამოხატვა.”<sup>7</sup>

მეორე გზა არაპირდაპირი დისკრიმინაციისა არის განსხვავება “თვალშისაცემ” და “შეუმჩნეველ” სიმბოლოებს შორის, რაც, სამწუხაროდ, რელიგიური სამოსის შეზღუდვის გამართლებაზე მსჯელობისას, ხშირად გვხვდება არა მხოლოდ ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებებშიც. ამ მხრივ კარგია ის, რომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ცალსახად გამორიცხა ამგვარი დიფერენცირების სივრცე და თავსაბურავის ტარების გამო პირის სამსახურიდან გათავისუფლება იმ

---

<sup>6</sup> M. D. Evans, *ib. supra* 2, გვ. 14

<sup>7</sup> Kendyl L. Green, *Courts Rule Too Narrowly regarding the Right to Wear Religious Clothing in Public*, 29 *Hastings WOMEN's L.J.* 261 (2018). 263

პირობებში, როდესაც დამსაქმებელი მხოლოდ “თვალშისაცემი რელიგიური სიმბოლოების” ტარებას კრძალავდა. ბოლოს, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო დონეზე, რელიგიური სიმბოლოების შეზღუდვის გამო სახელმწიფოების მკაცრი პასუხისმგებლობის წინააღმდეგ მუშაობს ე.წ. თავისუფალი შეფასების დოქტრინა, რომელიც ხაზს უსვამს, რომ სტანდარტზე კონსენსუსის არარსებობის პირობებში, ეროვნულ ორგანოებს უკეთ შეუძლიათ იმის შეფასება, რა რეგულირება იქნება ადგილზე გამართლებული. თუმცა, ამის გათვალისწინებითაც კი, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მაგალითი ამტკიცებს, რომ შეიძლება საერთაშორისო დონეზე წონიანი გამართლების მოთხოვნა რელიგიის გამოხატვაში ჩარევისთვის. ამასთან, ამ საკითხებზე ერთგვაროვანი მიდგომის არარსებობა ზრდის ეროვნული სასამართლოების როლს ამ უფლების დაცვაში.

როგორც თავში აღინიშნა, რელიგიური სამოსის და სიმბოლოების ტარება კონტექსტზე მიბმული უფლებაა. მისი დაცვის სტანდარტები რამდენადმე განსხვავებულია საჯარო სივრცის, განათლების, ჯანდაცვის სფეროს და კერძო და საჯარო სამსახურის კონტექსტების მიხედვით. ასევე განსხვავდება შეზღუდვის შემოწმების ტესტები და იმ არგუმენტების წონა, რომელსაც რელიგიის თავისუფლებით მოსარგებლე ან შეზღუდვის ავტორი იყენებს ამ დავაში.

თუმცა, რელევანტურობის მიხედვით, მეტნაკლებად ყველა კონტექსტი იქნება მიმოხილული, მაგრამ ამ კვლევაში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება დასაქმების სფეროზე. დამატებით, ეროვნული კანონმდებლობის შედარებითი კვლევისას არჩევანი შევაჩერეთ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიდგომებზე, რადგან, ბოლო პერიოდში, რელიგიური სამოსის საკითხი სწორედ ევროპაშია განსაკუთრებით აქტუალური. ამასთან, რადგან კვლევის საბოლოო მიზანი საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებაა, ამ ქვეყნების გამოცდილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის და ევროკავშირის სამართალთან დაახლოების კონტექსტში. ამავდროულად, როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა სამართალი, რელიგიური სიმბოლოების ტარების საკითხზე მსჯელობისას, ითვალისწინებს კონკრეტულ კონტექსტს. ამიტომ საქართველოშიც, საკითხზე ნებისმიერი მსჯელობისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია ადგილობრივი რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნება, რწმენისა და რელიგიის თავისუფლების და სხვა ფუნდამენტური უფლებების პრაქტიკაში რეალიზების კუთხით არსებული მდგომარეობა, სახელმწიფო და მართლმსაჯულების ინსტიტუტების გამჭვირვალობა და დამოუკიდებლობა და სხვა ფაქტორები.

# **1. სტანდარტების მიმოხილვა: გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო**

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, მისი გამოხატვის ჩათვლით, ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და შესაბამისად ასახულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონულ ძირითად ინსტრუმენტებში. ამასთან, რელიგიური სამოსის ტარების საკითხი ხვდება დისკრიმინაციის აკრძალვის უფლების ფარგლებშიც, რაც ასევე საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებაა. საინტერესოა ის, რომ ამ უფლებების თითქმის იდენტური ტექსტუალური რეგულირების მიუხედავად, მათ განმარტებაზე პასუხისმგებელი ორგანოები განსხვავებულ პრაქტიკას ავითარებენ რელიგიური სამოსის ტარებასთან დაკავშირებით. ქვემოთ განხილულია გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარების საკითხებზე, რაც მათი შედარების და საქართველოსთვის რელევანტური საერთაშორისო/რეგიონული სტანდარტების იდენტიფიცირების საშუალებას მოგვცემს.

## **1.1. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრაქტიკა**

გაეროს 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-18 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, რაც მოიცავს მისი გამოხატვის უფლებასაც ღვთისმსახურებით, სწავლებით, რიტუალების შესრულებითა და წეს-ჩვეულებების დაცვით. რიტუალების შესრულების ნაწილია რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარება. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 22-ე ზოგად კომენტარში ნათქვამია: “ღვთისმსახურების ცნება მოიცავს რიტუალურ და ცერემონიულ მოქმედებებს, რომლითაც უშუალო გამოხატულებას პოვებს რწმენა, ისევე როგორც სხვადასხვა ქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია



მათთან, მათ შორის ღვთისმსახურების ადგილების მშენებლობა, რიტუალური ფრაზებისა და საგნების გამოყენება, სიმბოლოების წარმოჩენა. რელიგიისა და რწმენის რიტუალების შესრულება და წეს-ჩვეულებების დაცვა შეიძლება მოიცავდეს არა მხოლოდ ცერემონიულ მოქმედებებს, არამედ ისეთ ჩვეულებებსაც, როგორცაა კვებასთან დაკავშირებული წესების დაცვა, განსხვავებული სამოსის ან თავსაბურავის ტარება, ცხოვრების გარკვეულ ეტაპებთან დაკავშირებულ რიტუალებში მონაწილეობა, და ჯგუფის შიგნით სასაუბრო განსაკუთრებული ენის გამოყენება.”<sup>8</sup> ამდენად, რელიგიური სიმბოლოებისა და სამოსის ტარება რელიგიური ღვთისმსახურების, რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების შესრულების გამოვლინებაა (*forum externum*), რაც რელიგიის თავისუფლების კომპონენტებია. შესაბამისად, შეზღუდვები, რომლებსაც კერძო ან საჯარო პირები აწესებენ საჯარო სივრცეში რელიგიური სამოსის ან სიმბოლოების ტარებასთან დაკავშირებით, რელიგიის ან რწმენის თავისუფლების შეზღუდვას წარმოადგენს და მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება გამართლებულად, თუ შეზღუდვის ლეგიტიმურობისთვის დადგენილ რიგ პირობებს დააკმაყოფილებს.

აქ ხაზგასასმელია პირველი და ყველაზე ცალსახა სტანდარტი: რელიგიური სამოსისა და სიმბოლოს ტარების აკრძალვა, როგორც რელიგიის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, უპირობოდ დარღვევას წარმოადგენს, როდესაც მოპასუხე სახელმწიფოს არ შეუძლია იმის ახსნა, თუ რა მიზანს ემსახურება შეზღუდვა. ამის მაგალითია კომიტეტის 2004 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *ჰუდოიბერგანოვა უზბეკეთის წინააღმდეგ*<sup>9</sup>, სადაც ტაშკენტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ჰიჯაბის<sup>10</sup> ტარების გამო უნივერსიტეტიდან გარიცხეს, თუმცა დაპირდნენ, რომ თუ ჰიჯაბს მოიხსნიდა მისცემდნენ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. იმის ნაცვლად, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში გარკვეული (ამომწურავად ჩამოთვლილი) ლეგიტიმური მიზნებით გამართლებინა შეზღუდვა (პაქტის მე-18-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე), უზბეკეთის სახელმწიფომ თქვა, რომ კომუნიკაციის ავტორის გარიცხვის საფუძველი იყო თავსაბურავის ტარების აკრძალვის შესრულებაზე უარი. ამის პასუხად კომიტეტმა განაცხადა “წევრი სახელმწიფოს მხრიდან რაიმე

---

<sup>8</sup> CCPR General Comment No. 22: Article 18 (Freedom of Thought, Conscience or Religion), 30 July 1993

<sup>9</sup> UN Human Rights Committee, *Raihon Hudoyberganova v. Uzbekistan*, Comm. no. 931/2000, 5/11/2004

<sup>10</sup> ჰიჯაბი ტრადიციული ისლამური თავსაბურავია, რომელიც ფარავს ქალის თმას და ყელს, მაგრამ არ ფარავს სახეს. განმარტებისა და ილუსტრაციისთვის იხ. <https://www.learnreligions.com/islamic-clothing-glossary-2004255>

გამართლების წარმოუდგენლობის პირობებში, კომიტეტმა უნდა დაასკვნას, რომ დაირღვა პაქტის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი.”

დაახლოებით იგივე ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნებოდა კომუნიკაცია თურქეთიდან, სადაც სტუდენტ გოგონას არ მისცეს უფლება, უნივერსიტეტში სწავლისას, თმის დასაფარად ეტარებინა თავსაბურავი ან მის ალტერნატივად – პარიკი.<sup>11</sup> უზბეკეთის მსგავსად, თურქეთმაც არანაირი ახსნა არ წარმოადგინა, იმასთან დაკავშირებით, როგორ ემსახურებოდა ეს შეზღუდვა პაქტის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილ ლეგიტიმურ მიზნებს და იყო თუ არა ამ მიზნებისთვის საჭირო და პროპორციული. შესაბამისად, დადგინდა მე-18 მუხლის დარღვევა. თუმცა, დამატებით, ამ საქმეში მნიშვნელოვანია ის, რომ კომიტეტმა აგრეთვე დაადგინა ინტერსექციული, არაპირდაპირი დისკრიმინაცია პაქტის 26-ე მუხლის<sup>12</sup> (დისკრიმინაციის დაუშვებლობა) საფუძველზე, რადგან შეზღუდვა არაპროპორციულად ზღუდავდა მუსლიმი ქალების არჩევანს, დაეფარათ თმა. ამ შეზღუდვის შედეგად, ქალებს, ვისაც თავიანთი რწმენის შესაბამისად თმის დაფარვა სურდათ, რეალურად უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა ერთმეოდათ. ამ ნაწილშიც არანაირი გამართლება არ წარმოუდგენია სახელმწიფოს.

შემდეგ საქმეში, *სინგი საფრანგეთის წინააღმდეგ*<sup>13</sup>, ადამიანის უფლებათა კომიტეტს მიმართა სიქჰმა მამაკაცმა, რომელსაც სთხოვდნენ ტურბანის გარეშე სურათის გადაღებას ბინადრობის ნებართვის გასაახლებლად. ამ შემთხვევაში კომიტეტმა გაიზიარა საფრანგეთის მტკიცება, რომ კანონის მოთხოვნა შიშველი თავით სურათის გადაღებასთან დაკავშირებით ემსახურებოდა საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზანს და იმის შემოწმებას, ფოტოზე ასახული პირი ნამდვილად იყო თუ არა შესაბამისი ნებართვის მფლობელი. თუმცა, ლეგიტიმური მიზნის არსებობის გარდა, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ აჩვენოს, რომ შეზღუდვა საჭიროა ამ მიზნის მისაღწევად. ტურბანი სიქჰი მამაკაცების რელიგიური თავსაბურავია, რომელიც ფარავს მხოლოდ თავის ზედა მხარეს და შუბლის ნაწილს. კომიტეტმაც აღნიშნა, რომ მისი ტარება არ უშლიდა ხელს დანარჩენი სახის დანახვას. ამასთან, ეს ადამიანი სულ ატარებდა ტურბანს. შესაბამისად, კომიტეტმა ვერ დაინახა, როგორ ქმნიდა ჩალმა

<sup>11</sup> UN Human Rights Committee, *Seyma Turkan*, comm. no. 2274/2013, 26/06/2012

<sup>12</sup> 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი, მუხლი 26: “თითოეული ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე კანონით თანაბარი დაცვის უფლება აქვს. ამ მხრივ უნდა აიკრძალოს ყოველგვარი დისკრიმინაცია და კანონი უნდა უზრუნველყოფდეს ყველა პირის თანასწორ და ეფექტურ დაცვას რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების თუ სხვა გარემოებების გამო დისკრიმინაციისაგან.”

<sup>13</sup> UN Human Rights Committee, *Ranjit Singh v. France*, Comm no. 1876/2000, 22/08/2011

პირის იდენტიფიცირების პრობლემას. ამასთან, სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ ჩალმის მოხდა სურათის გადასაღებად ერთჯერადი და ნაკლებად მძიმე ჩარევა იყო მის რელიგიის თავისუფლებაში, თუმცა კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ რეალურად მისი რელიგიის თავისუფლების შელახვა განგრძობადი იქნებოდა, რადგან თავსაბურავის გარეშე გამოჩნდებოდა იდენტობის დამადასტურებელ დოკუმენტში და გარდა ამისა, შემოწმებისას შეიძლებოდა მისთვის კვლავ მოეთხოვათ ტურბანის მოხდა. იმის გამო, რომ ვერ დარწმუნდა შეზღუდვის საჭიროებაში, კომიტეტმა ჩათვალა, რომ რეგულაცია, რომელიც იდენტობის დამადასტურებელი დოკუმენტებისთვის თავსაბურავის გარეშე სურათის გადაღებას ითხოვდა, არღვევდა პაქტის მე-18 მუხლს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული, აქ შეიძლება პარალელის გავლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომასთან თითქმის იდენტური გარემოებების მქონე საქმეში. იგივე გვარის მქონე (სინგი) კიდევ ერთი სიქჰი მამაკაცი დავობდა ევროპულ სასამართლოში იმის გამო, რომ მას მართვის მოწმობის განახლებაზე უთხრეს უარი, სანამ ტურბანის გარეშე გადაღებულ სურათს არ წარადგენდა შესაბამის ორგანოში. სასამართლომ აღნიშნა: “იდენტობის დამადასტურებელი ფოტო თავსაბურავის გარეშე, რომელიც გამოიყენება მართვის მოწმობისთვის, საჭიროა ხელისუფლების ორგანოებისთვის, რომლებიც პასუხს აგებენ საჯარო უსაფრთხოებაზე და წესრიგის დაცვაზე, განსაკუთრებით საგზაო მოძრაობის წესების დასაცავად საჭირო შემოწმებების გათვალისწინებით, რათა დადგინდეს მძღოლის ვინაობა და უზრუნველყოფილი იქნეს, რომ მას აქვს შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების ტარების უფლება. ასეთი შემოწმებები საჭიროა კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისთვის. სასამართლო მიუთითებს ამ მხრივ, რომ წესები აქ უფრო მკაცრია თაღლითობისა და მართვის მოწმობების გაყალბების გაზრდილი რისკის გამო. ამასთან ამგვარი შემოწმებების აღსრულების მეთოდები მოპასუხე სახელმწიფოების შეფასების თავისუფლებაში ხვდება, მითუმეტეს, რომ ამ მიზნით ტურბანის მოხდა, ან პირველ რიგში, მართვის მოწმობის მიღება, კონკრეტულ იზოლირებულ შემთხვევებს წარმოადგენს.”<sup>14</sup>

სინგის საქმეების შედარება კარგი ილუსტრაციაა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომების შესადარებლად: კომიტეტი ბევრად უფრო მკაცრი და მომთხოვნია რელიგიური სიმბოლოების შეზღუდვის საკითხებზე და უფრო მაღალი დაცვის სტანდარტს სთავაზობს ინდივიდებს, ვიდრე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო,

---

<sup>14</sup> Mann Singh v. France, ნო. 24479/07, 13/11/2008

რომელიც მზად აღმოჩნდა, შეზღუდვასთან დაკავშირებით მიეღო სახელმწიფოს საკმაოდ ზოგადი და ზედპირული გამართლება. სამართლებრივად, ამ განსხვავებული ინტერპრეტაციის მთავარი “მიზეზი” სახელმწიფოების ფართო დისკრეტია - ფართო “შეფასების თავისუფლება”, რასაც იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მაგრამ არა გაეროს კომიტეტი. კომიტეტი თანმიმდევრულად მკაცრი და დეტალურია ყველა ამ ტიპის საქმეში, როგორც მომდევნო, უახლესი გადაწყვეტილებებიდან ჩანს.

2018 წელს კომიტეტმა დარღვევა დაადგინა კიდევ ორ საქმეში<sup>15</sup> საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელიც უკავშირდებოდა საჯარო სივრცეში სახის დაფარვის აკრძალვას. ორივე კომუნიკაციის ავტორი ატარებდა ნიქაბს (ისლამური რელიგიური სამოსი, რომელიც მთლიანად ფარავს სახეს, გარდა თვალებისა), რისთვისაც კანონის თანახმად, დაჯარიმდნენ 150 ევროთი. შეზღუდვის საფუძველი იყო საფრანგეთის 2010 წლის 11 ოქტომბერს მიღებული კანონი #2010-1192, რომლის პირველი მუხლი ადგენდა: “არავის აქვს უფლება, საჯარო სივრცეში ატაროს სამოსი, რომელიც ფარავს სახეს”. შემდგომი მსჯელობისთვის მნიშვნელოვანია, რომ ამავე კანონის მეორე მუხლი განმარტავდა, რომ “საჯარო სივრცე მოიცავს საჯარო გზებს და იმ ადგილებს, რომლებიც ყველასათვის ღიაა ან გამოიყენება საჯარო მომსახურებების გასაწევად”. კანონი აგრეთვე ითვალისწინებდა წესიდან გამონაკლისებს: “აკრძალვა არ გავრცელდება კანონით ნებადართულ სამოსზე ან სამოსზე, რომლის ტარებაც გამართლებულია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ან პროფესიული მიზეზებით, დაკავშირებულია სპორტთან, ზეიმებთან, არტისტულ ან ტრადიციულ გამოხატვასთან.” საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში არსებული სეკულარიზმის ობსერვატორიის 2013 წლის ანგარიშის თანახმად, “კანონის ამოქმედებიდან 2014 წლის 21 თებერვლამდე, 1111 შემოწმება ჩატარდა; ამათგან უმეტესობა მიმართული იყო იმ ქალებზე, რომლებიც ატარებდნენ სახის სრულად დამფარავ თავსაბურავს. ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე ქალი იქნა რამდენჯერმე შემოწმებული. 1038 შემთხვევაში გამოიცა პოლიციის ოქმი ამ დარღვევასთან დაკავშირებით და აქედან 61 შემთხვევაში იქნა გამოყენებული გაფრთხილება.”<sup>16</sup>

ამ საკითხზე მსჯელობისას გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გაითვალისწინა აქტის აღსრულებასთან დაკავშირებული ეს სტატისტიკა და ისიც, რომ საფრანგეთში ცხოვრობდა 2000-ზე ნაკლები ქალი, რომელიც ნიქაბს ატარებდა და მათი უდიდესი

---

<sup>15</sup> UN Human Rights Committee: *Sonia Yaker v. France*, comm. no. 2747/2016, 17/07/2018; *Miriana Hebbadj v. France*, comm. no. 2807/2016, 17/07/2018

<sup>16</sup> იხ. *Miriana Hebbadj v. France*, comm. no. 2807/2016, 17/07/2018, სქოლიო 11

უმრავლესობა დაექვემდებარა ამ კანონის საფუძველზე შემოწმებას. ეს, რა თქმა უნდა, დიდწილად აქარწყლებდა სახელმწიფოს არგუმენტს, რომ კანონი ნეიტრალური იყო და ზოგადად კრძალავდა სახის დაფარვას მისი ფორმისა და მიზეზის მიუხედავად. ამ არგუმენტს ნაკლებად დამაჯერებელს ხდიდა აგრეთვე გამონაკლისების ის ფართო სიაც, რაც აქტივზე იყო მოცემული.

გადაწყვეტილების მიღებისას სადავო არ ყოფილა ის, რომ მუსლიმების ნაწილისთვის სახის დამფარავი თავსაბურავის ტარება ჩვეულებაა და რელიგიური რიტუალების შესრულებისა და წეს-ჩვეულებების დაცვას წარმოადგენს. ამდენად, საკითხი რელიგიის თავისუფლების სივრცეში ცალსახად ექცევა. სახელმწიფომ ლეგიტიმურ მიზნად, ერთი მხრივ, დაასახელა საჯარო უსაფრთხოება და წესრიგი და აღნიშნა, რომ შესაძლებელი უნდა იყოს საჭიროებისას პირის იდენტიფიცირება უსაფრთხოების რისკებისა და იდენტობის გაყალბების ასაცილებლად. ზოგადად, კომიტეტი დაეთანხმა სახელმწიფოს, რომ შიგადაშიგ შეიძლება საჭირო იყოს ინდივიდისთვის სახის გამოჩენის მოთხოვნა იდენტიფიცირების მიზნებისთვის, ან საჯარო უსაფრთხოების რისკების არსებობისას. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფომ ვერ აჩვენა, რომ სახის სრულად დამფარავი თავსაბურავი თავისთავად ქმნიდა რაიმე საფრთხეს ან “რეალურ და მნიშვნელოვან რისკს” საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოებისთვის, იმისთვის რომ გაემართლებინა საჯარო სივრცეში სახის დაფარვის მუდმივი და ბლანკეტური აკრძალვა. აღსანიშნავია, რომ ასეთი რისკი რომც ყოფილიყო, სახელმწიფოს დამატებით უნდა დაემტკიცებინა, რომ აკრძალვა პროპორციული იყო მიზნისა და მის მისაღწევად ყველაზე ნაკლებად მზლუდავ საშუალებას წარმოადგენდა, რაც სახელმწიფომ აგრეთვე არ/ვერ გააკეთა.

მეორე მხრივ, სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ აკრძალვა გამართლებული იყო “ერთად ცხოვრების” კონცეფციიდან გამომდინარე, საზოგადოებაში ცხოვრების მინიმალური მოთხოვნების დასაცავად: “სახის ჩვენება გამოხატავს თანხმობას, რომ შენმა თანამოსაუბრემ გიცნოს და რომ “უსამართლოდ” არ დაფარო შენი განწყობა, რაც არის “ნდობის ის მინიმალური ხარისხი, რაც საჭიროა ღია და თანასწორ საზოგადოებაში ერთად ცხოვრებისთვის”. კომიტეტმა აღნიშნა, რომ სახის დაფარვა შეიძლება იყოს დაბრკოლება ინტერაქციისთვის, თუმცა შეზღუდვის გასამართლებლად საჭირო იყო სხვათა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზანი. “ერთად ცხოვრების კონცეფცია” კი ბუნდოვანი და აბსტრაქტული ტერმინია, რომელიც არ წარმოადგენს პაქტით დაცულ რომელიმე უფლებას: “მხარე სახელმწიფოს არ დაუსახელებია რომელიმე კონკრეტული ფუნდამენტური უფლება ან თავისუფლება, რომელიც ირღვეოდა საჯარო სივრცეში სახედაფარული ადამიანების, მათ შორის თავსაბურავიანი ქალების ყოფნით. საჯარო სივრცეში ნებისმიერ პირთან

ურთიერთობის უფლება და უფლება არ გაღიზიანდე იმით, რომ ვინმე სახის სრულად დამფარავ თავსაბურავს ატარებს, არ არის დაცული პაქტით,” და შესაბამისად, არ შეიძლება პაქტის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისთვის გამართლებული შეზღუდვის საფუძველი იყოს.

თუმცა, მე-18 მუხლის (რწმენისა და რელიგიის თავისუფლება) დარღვევის გარდა, კომიტეტმა დაადგინა პაქტის 26-ე მუხლის (დისკრიმინაციის დაუშვებლობა) დარღვევაც, რადგან ჩაითვალა, რომ ადგილი ქონდა არაპირდაპირ დისკრიმინაციას უმცირესობაში მყოფი მუსლიმი ქალების მიმართ, რომლებიც სახის სრულად დამფარავ თავსაბურავს ატარებდნენ. კომიტეტმა აღნიშნა, რომ 26-ე მუხლის დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს ერთი შეხედვით ნეიტრალური წესის ან ღონისძიების დისკრიმინაციულმა შედეგმა, თუნდაც არ არსებობდეს დისკრიმინაციული განზრახვა.

ამ მხრივ კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ ამ კანონის მიღების მიზნად თავად საფრანგეთის პარლამენტმა დაასახელა რესპუბლიკის ღირებულებებთან შეუთავსებელი, სამოსის ყველაზე რადიკალური ფორმის აღკვეთა, რომელიც პირს უხილავს ხდიდა საჯარო სივრცეში. ამასთან, თუმცა კანონი ზოგადად კრძალავდა სახის დაფარვას, “მასში გათვალისწინებულია გამონაკლისები საჯაროდ სახის დაფარვის უმეტესი შემთხვევებისთვის, რითაც ამ აკრძალვის გამოყენება იშვიათად თუ გავრცელდება რამეზე სრული ისლამური თავსაბურავის გარდა. ამასთან, კანონი ძირითად აღსრულდებოდა იმ ქალების მიმართ, რომლებიც სახის სრულად დამფარავ თავსაბურავს ატარებდნენ.”<sup>17</sup>

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტისთვის განცხადებით მიმართვის ავტორები ამტკიცებდნენ, რომ დისკრიმინირებულნი იყვნენ იმ პირებთან შედარებით, ვისაც კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გამო შეეძლოთ სახის სრულად დაფარვა და სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა რაიმე ახსნა იმისა, კომუნიკაციის ავტორებისთვის სახის დაფარვის აკრძალვა და სხვა საგამონაკლისო შემთხვევებში ამის დაშვება, რატომ იყო გონივრული და გამართლებული. მართალია, სახელმწიფოს ეს პირდაპირ არ დაუსახელებია ლეგიტიმურ მიზნად, მაგრამ ქალისა და კაცის თანასწორობის საკითხი ფიგურირებდა აკრძალვასთან დაკავშირებულ საპარლამენტო დებატებში და ამიტომ კომიტეტმა გადაწყვიტა ემსჯელა ამ არგუმენტზეც: “სახის სრულად დამფარავი თავსაბურავის სანქცირება ქალების დასაცავად, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ნაცვლად, სავარაუდოდ ხელს შეუწყობს იმ მუსლიმი ქალების მეტად სტიგმატიზებას, რომლებიც არჩევანს აკეთებენ თავსაბურავის

---

<sup>17</sup> იქვე, პარ. 7.13

ტარების სასარგებლოდ, ისევე როგორც, უფრო ფართოდ მუსლიმების სტიგმატიზებას, მუსლიმებში ქალის როლის სტერეოტიპული აღქმის საფუძველზე. ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფოს ან უმრავლესობის აზრი, რომ კონკრეტული პრაქტიკა მჩაგვრელობითია, ანგარიშს უნდა უწევდეს აგრეთვე მომჩივანის პირად აშკარა არჩევანს, ატაროს საჯაროდ კონკრეტული სამოსი საკუთარი რელიგიური რწმენის გამოსახატად.<sup>18</sup> ამდენად ეს არგუმენტი არ ჩაითვალა დამაჯერებლად.

იმის გამო, რომ ეს შეზღუდვა არაპროპორციულად ზღუდავდა მუსლიმ ქალებს და განასხვავებდა მათ სხვა პირებისგან, ვისაც ლეგალურად შეეძლოთ საჯაროდ სახის დაფარვა, კომიტეტმა ჩათვალა, რომ ადგილი ჰქონდა 26-ე მუხლის დარღვევასაც.

აღსანიშნავია, რომ როგორც ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტების ფოტოებისთვის თავსაბურავის მოხსნის, ისე სახის სრულად დაფარვის საკითხზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა და სახელმწიფოს მხრიდან წარმოდგენილი იგივე არგუმენტების შეფასება ფუნდამენტურად განსხვავებულია კომიტეტის მიდგომისგან, რაც უფრო ვრცლად განხილული იქნება ქვემოთ, ს.ა.ს საფრანგეთის წინააღმდეგ საქმის მაგალითზე.

რელიგიურ სამოსთან დაკავშირებული გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის კიდევ ერთი გადაწყვეტილება ეხებოდა ისლამური თავსაბურავის ტარებას დასაქმებულის მიერ. საქმეში ფ. ა. საფრანგეთის წინააღმდეგ<sup>19</sup> კომუნიკაციის ავტორი ბავშვების აღზრდელად მუშაობდა კერძო დამსაქმებელთან. 1994 წლიდან ის ჩვეულებრივ ატარებდა თავსაბურავს, რომელიც ფარავდა მის თმას. 2008 წელს, დეკრეტული შვებულებიდან დაბრუნებისას, დირექტორმა გააფრთხილა, რომ შინაგანაწესის თანახმად, არ ჰქონდა თავსაბურავის ტარების უფლება. ამის მიუხედავად ის თავსაბურავით გამოცხადდა სამსახურში. ათ დღეში ის გაათავისუფლეს სამსახურიდან დაუმორჩილებლობისთვის, ვინაიდან ეს მძიმე დარღვევად ითვლებოდა.

სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ საფრანგეთის შრომის კოდექსის თანახმად, დამსაქმებელს უფლება ჰქონდა ამგვარი შეზღუდვა დაედგინა დასაქმებულებისთვის, და რომ შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენდა სხვა პირთა ფუნდამენტური უფლებების, კერძოდ ბავშვებისა და მათი მშობლების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა: “ისლამური თავსაბურავი არ არის “პასიური სიმბოლო”, ეს “მძლავრი გარეგნული სიმბოლოა”; ბავშვზე ზრუნვის ცენტრი არის ადგილი, სადაც

<sup>18</sup> Sonia Yaker v. France, comm. no. 2747/2016, 17/07/2018

<sup>19</sup> UN Human Rights Committee, F.A. v. France, Comm. no. 2662/2015, 16 July, 2018

პატარა ბავშვებს თბილად უნდა შეხვდნენ და სოციალური სტაბილურობა შესთავაზონ. ამ ბავშვებზე გავლენის მოხდენა განსაკუთრებით მარტივია და ისინი ადვილად ექვემდებარებიან მათი გარემოს გავლენას. ისინი არ უნდა დაექვემდებარონ რელიგიური კუთვნილების ხილვად წარმოჩენას.” ამის პასუხად, კომიტეტმა აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ვერ ახსნა, თავსაბურავის ტარება რატომ იყო შეუთავსებელი სოციალურ სტაბილურობასა და ბავშვების გულთბილ მიღებასთან, ან მასწავლებლის ისლამური თავსაბურავი როგორ არღვევდა მშობლებისა და ბავშვების ფუნდამენტურ უფლებებს. შესაბამისად, კომიტეტმა ჩათვალა, რომ შეზღუდვა, რამაც გამოიწვია მასწავლებლის გათავისუფლება სამსახურიდან, არ იყო დასახული მიზნის პროპორციული და არღვევდა პაქტის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტს.

დამატებით, როგორც წინა საქმეებში, მომჩივანი პირი აქაც დავობდა პაქტის 26-ე მუხლის დარღვევაზე, რადგან ორგანიზაციის შინაგანაწესი არაპროპორციულად დიდ გავლენას ახდენდა იმ ქალებზე, რომლებიც ატარებდნენ თავსაბურავს და მათ აყენებდა არახელსაყრელ მდგომარეობაში. სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ შინაგანაწესი კონკრეტული რელიგიის წინააღმდეგ არ იყო მიმართული და დიფერენცირებას თუ იწვევდა, ეს დიფერენცირება არ იყო თვითნებური ან არაგონივრული. კომიტეტმა ჩათვალა, რომ შინაგანაწესში მოცემული შეზღუდვა წარმოადგენდა განსხვავებულ მოპყრობას იმ მუსლიმი ქალების მიმართ, რომლებსაც სურდათ თავსაბურავის ტარება. კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ მასწავლებელი გაათავისუფლეს კომპენსაციის გარეშე, მხოლოდ თავსაბურავის ტარების გამო. არავინ დაასაბუთა, როგორ უშლიდა ხელს თავსაბურავი მისი ფუნქციების შესრულებას. არც არავინ შეაფასა ამ ღონისძიების პროპორციულობა. შესაბამისად, სახელმწიფომ ვერ შეასრულა ვალდებულება ეჩვენებინა, რა მიზანს ემსახურებოდა მისი გათავისუფლება ან რამდენად იყო მიზნის პროპორციული: “ამდენად კომიტეტი ასკვნის, რომ ავტორის გათავისუფლება შრომის კოდექსის და დაწესებულების ბავშვებზე ზრუნვის შინაგანაწესის საფუძველზე, რომელიც ნეიტრალობის ვალდებულებას აკისრებდა თანამშრომლებს, არ ეფუძნებოდა გონივრულ და ობიექტურ კრიტერიუმებს და წარმოადგენდა გენდერსა და რელიგიაზე დაფუძნებულ ინტერსექციულ დისკრიმინაციას, რაც არღვევს პაქტის 26-ე მუხლს.”

ამ საქმეებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს რელიგიურ სამოსთან დაკავშირებით საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანი პრაქტიკა აქვს, რომელიც მოიცავს რელიგიური სამოსის ტარებას უსაფრთხოების და წესრიგის უზრუნველყოფის კონტექსტში, სახის საჯაროდ დაფარვას, თავსაბურავის ტარებას სასწავლო დაწესებულებებში, ისევე როგორც მცირეწლოვან ბავშვებზე ზრუნვის დაწესებულებებში. ამ პრაქტიკის მთავარი ხაზი



არის კომიტეტის მხრიდან რელიგიური სამოსის ტარების, როგორც რელიგიის თავისუფლების გამოხატვის მკაცრად დაცვა, სახელმწიფოს მხრიდან წარმოდგენილი არგუმენტაციის ფრთხილი და ზედმიწევნითი შემოწმების გზით. ეს მიდგომა კომიტეტის უპირატესობაა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთან შედარებით, სადაც ევროპული ინსტიტუტების სუბსიდიურობისა და სახელმწიფოს დისკრეციის უპირობო აღიარება მეტ სივრცეს ტოვებს რელიგიური სამოსის შესაძლო, არასაჭირო შეზღუდვისთვის.

## 1.2. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებები

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-19 მუხლი შეიცავს დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს, რომლის დაცულ საფუძვლებს შორის არის “რწმენა და რელიგია”. რწმენისა და რელიგიის თავისუფლება, ისევე როგორც დისკრიმინაციის აკრძალვა დაცულია აგრეთვე ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიით. დასაქმების სფეროსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს დასაქმებაში თანასწორობის დირექტივა 2000/78/EC<sup>20</sup>, რომლის შესრულების ვალდებულებაც საქართველოსაც აქვს საქართველოსა და ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების თანახმად (დანართი XXX “დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები”) და რომელიც დეტალურად იქნება განხილული ევროკავშირის სასამართლოს თავსაბურავის ტარებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში.

რელიგიურ სამოსთან დაკავშირებით სახელმძღვანელო პრინციპების ჩარჩო ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა 2017 წელს მიღებულ ორ გადაწყვეტილებაში საქმეებზე “სამირა აშბიტა და თანაბარი შესაძლებლობებისა და რასიზმთან ბრძოლის ცენტრი G4S Secure Solutions-ის წინააღმდეგ”<sup>21</sup> და “ასმა ბუნაუი და ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია “Micropole SA”-ს წინააღმდეგ”.<sup>22</sup> ორივე გადაწყვეტილება კერძო კომპანიის თანამშრომლის მიერ ისლამური თავსაბურავის

<sup>20</sup> ევროპის საბჭოს 2000/78/EC დირექტივა, რომელიც დასაქმებისა და შრომითი საქმიანობის საკითხებთან მიმართებით აყალიბებს თანაბარი მოპყრობის ზოგად სტრუქტურას, 27 ნოემბერი, 2000

<sup>21</sup> ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, ბელგიის საკასაციო სასამართლოს მოთხოვნის პასუხად მიღებული წინასწარი გადაწყვეტილება C-157/15, 14/03/2017, იხ. <https://bit.ly/3zowagf>

<sup>22</sup> ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მოთხოვნის პასუხად მიღებული წინასწარი გადაწყვეტილება C-188/15, 14/03/2017, იხ. <https://bit.ly/3zsYPAT>

აკრძალვას ეხებოდა, თუმცა სამირა აშბიტას შემთხვევაში, რომელიც ორგანიზაციის მიმღებში მუშაობდა, აკრძალვა გამომდინარეობდა დამსაქმებლის ნეიტრალიტეტის შიდა პოლიტიკიდან, რომელიც შემდეგ აისახა ორგანიზაციის შინაგანაწესშიც. ასმა ბუნაუის შემთხვევაში, რომელიც ინფორმაციის ტექნოლოგიის კომპანიაში მუშაობდა ინჟინრად, გათავისუფლებას საფუძვლად დაედო ერთ-ერთი კლიენტის მოთხოვნა, რომ შემდეგ ჯერზე მათთვის მომსახურება არ უნდა გაეწია თავსაბურავიან ინჟინერს. ორივე საქმეში მომართვის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა დასაქმებაში თანასწორობის დირექტივა 2000/78/EC.

აშბიტას საქმეში სასამართლომ ცალსახად უპასუხა კითხვას, რომ ეს არ იყო პირდაპირი დისკრიმინაცია, რადგან კომპანიის ნეიტრალიტეტის პოლიტიკა არ განასხვავებდა რელიგიებსა და ფილოსოფიებს და ყველა მათგანის გამოვლინებას კრძალავდა. ასევე არ არსებობდა მტკიცებულება, რომ ეს წესი განსხვავებულად გამოიყენეს აშბიტას და სხვა თანამშრომლების მიმართ. თუმცა, სასამართლომ მოინდომა გაცდენოდა ამ კითხვას და ჩარჩო განსაზღვრა, როგორ უნდა გამოეკვლიათ შიდა სასამართლოებს არაპირდაპირი დისკრიმინაციის არსებობა. არაპირდაპირი დისკრიმინაცია ასახავს იმ შემთხვევას, როდესაც ნეიტრალური წესი ან ვალდებულება პრაქტიკაში იწვევს შედეგებს, როლებიც გარკვეული რელიგიის ან რწმენის მიმდევრებს განსაკუთრებით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. თუმცა, განსხვავებული შედეგების გამოწვევა არ ნიშნავს არაპირდაპირ დისკრიმინაციას, თუ ის ობიექტურად გამართლებულია ლეგიტიმური მიზნით და მისი მიღწევის სათანადო და საჭირო საშუალებაა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დასაქმებულის სურვილი, რომ საკუთარ კლიენტებთან მიმართებით ჰქონდეს პოლიტიკურად, ფილოსოფიურად და რელიგიურად ნეიტრალური იმიჯი არის ლეგიტიმური მიზანი. ამ მიზნის მისაღწევად დასაშვებია რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა. აშკარა რელიგიური, ფილოსოფიური და პოლიტიკური სიმბოლიკის ტარების აკრძალვა იქნებოდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის სათანადო საშუალება, თუკი კომპანია გულდასმით, სისტემურად და თანმიმდევრულად იცავდა ამ აკრძალვას. აშკარა რელიგიური, ფილოსოფიური და პოლიტიკური სიმბოლიკის ტარების აკრძალვა იქნებოდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალება, თუკი აკრძალვა შეეხებოდა მხოლოდ იმ პირებს, ვისაც კლიენტებთან ჰქონდა შეხება. ასეთ შემთხვევაში, აკრძალვა მიზნის მისაღწევად მკაცრად აუცილებლად ჩაითვლებოდა.

ეროვნულ სასამართლოებს უნდა შეეფასებინათ, კომპანიისთვის ზედმეტი ტვირთის აღების გარეშე, შეეძლო თუ არა G4S-ს აშბიტასთვის ისეთი პოზიციის შეთავაზება, სადაც მას პირდაპირი, ვიზუალური კომუნიკაცია არ ექნებოდა კლიენტებთან.

აშბიტას საქმისგან განსხვავებით, ბუნაუის საქმეში ეროვნულ სასამართლოს აინტერესებდა არა ის, ნეიტრალიტეტთან დაკავშირებული წესის გამო გათავისუფლება თუ ჩაითვლებოდა დისკრიმინაციად, არამედ ის დამსაქმებლის სურვილი, რომ გაეთვალისწინებინა კლიენტის მოთხოვნა, რომელსაც აღარ უნდოდა თავსაბურავიანი ინჟინერის მომსახურება, თუ უნდა ჩათვლილიყო სამუშაოსთვის დამახასიათებელ “ნამდვილ და განმსაზღვრელ” მოთხოვნად.

ამ კითხვაზე სასამართლოს პასუხი იყო “არა”. პირველ რიგში სასამართლომ აღნიშნა რომ 2000/78 დირექტივის თანახმად, ძალიან იშვიათად შეიძლება ჩაითვალოს ნიშანი, რომელიც რელიგიას უკავშირდება “სამუშაოსთვის დამახასიათებელ ნამდვილ და განმსაზღვრელ მოთხოვნად”. ამასთან დირექტივის ტექსტის გათვალისწინებით, სამუშაოსთვის დამახასიათებელ მოთხოვნად შეიძლება მხოლოდ ისეთი მოთხოვნა ჩაითვალოს, “რომელიც ობიექტურად ნაკარნახევია სამუშაოს არსით ან მისი შესრულების პირობებით. ის არ მოიცავს ისეთ სუბიექტურ მოსაზრებებს, როგორცაა დამსაქმებლის ნება გაითვალისწინოს კლიენტების სურვილი.”<sup>23</sup> შესაბამისად, სასამართლომ საფრანგეთის ეროვნული სასამართლოს კითხვის პასუხად განაცხადა, რომ დამსაქმებლის სურვილი გაითვალისწინოს კლიენტის ნება, რომ არ მოემსახუროს თანამშრომელი ისლამური თავსაბურავით ვერ ჩაითვლებოდა სამუშაოსთვის დამახასიათებელ “ნამდვილ და განმსაზღვრელ მოთხოვნად” დირექტივის მიზნებისთვის.

ბოლოს, უნდა განვიხილოთ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2021 და 2022 წლის ორი გადაწყვეტილება<sup>24</sup>, სადაც აშბიტას საქმის შემდგომი განვითარება ჰპოვა ნეიტრალიტეტის კონცეფციამ, როგორც დამსაქმებლის მიერ ისლამური თავსაბურავის აკრძალვის გამართლებამ.

მართლმსაჯულების სასამართლომ გააერთიანა გერმანული სასამართლოების ორი კითხვა საქმეებზე “IX “WABE eV“-ის წინააღმდეგ” (შემდეგში “ვეიბის საქმე”) და ““MH Müller Handels GmbH” მჯ-ის წინააღმდეგ” (შემდეგში “მიულერის საქმე”). ორივე

---

<sup>23</sup> იხ. ზემოთ სქოლიო 11, პუნქტი 40

<sup>24</sup> ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო: 1. გერმანიის ორი სასამართლო მოთხოვნის პასუხად მიღებული წინასწარი გადაწყვეტილება C-804/18 და C-341/19, 15/07/2021, იხ. <https://bit.ly/3NjOeOg> ; 2. ბელგიის საკასაციო სასამართლოს მოთხოვნის პასუხად მიღებული წინასწარი გადაწყვეტილება C-344/20, 13/10/2022, იხ. <https://bit.ly/3Nm90N2>

შემთხვევაში დასაქმებულები გათავისუფლდნენ სამსახურიდან ისლამური თავსაბურავის ტარების გამო. თუმცა WABE-ს, რომელიც ჰამბურგში ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებებს მართავდა, ჰქონდა უგამონაკლისო ნეიტრალიტეტის წესი იმ თანამშრომლებისთვის, რომლებსაც ბავშვებთან ჰქონდათ შეხება. ამისგან განსხვავებით, “MH”-ს, რომელიც აფთიაქების ქსელს მართავდა, ჰქონდა შიდა დირექტივა და კრძალავდა მხოლოდ “აშკარა, დიდი ზომის პოლიტიკური, ფილოსოფიური ან რელიგიური სიმბოლიკის ტარებას სამსახურში”, ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფის მიზნით.

ვეიბის შემთხვევაში, რადგან ნეიტრალიტეტის წესი უგამონაკლისოდ ვრცელდებოდა ყველანაირ რელიგიურ- ფილოსოფიურ-პოლიტიკურ რწმენებთან დაკავშირებულ სიმბოლიკაზე, სასამართლომ ჩათვალა, რომ ადგილი არ ქონდა პირდაპირ დისკრიმინაციას, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ეს წესი თითქმის ექსკლუზიურად თავსაბურავიანი, მუსლიმი ქალების წინააღმდეგ აღსრულდებოდა, სასამართლომ პასუხი გასცა კითხვას, უნდა ჩათვლილიყო თუ არა ამგვარი განსხვავებული შედეგი არაპირდაპირ დისკრიმინაციად.

სასამართლომ განაცხადა, რომ დამსაქმებლის სურვილი ნეიტრალიტეტის იმიჯით წარდგეს კლიენტებთან არის ლეგიტიმური მიზანი, თუმცა ეს არ არის საკმარისი რელიგიასთან დაკავშირებული განსხვავებული მოპყრობის ობიექტური გამართლებისთვის. ამისთვის საჭიროა, რომ დამსაქმებელმა აჩვენოს, რომ მას ობიექტურად სჭირდება ამ პოლიტიკის განხორციელება.

“ობიექტური გამართლების და შესაბამისად, ნამდვილი აუცილებლობის დასადგენად, პირველ რიგში გასათვალისწინებელია მომხმარებლების ან კლიენტების უფლებები და ლეგიტიმური სურვილები. მაგალითისთვის ასეთია მშობლების უფლება უზრუნველყონ შვილების განათლება და სწავლება მათი რელიგიური, ფილოსოფიური და საგანმანათლებლო შეხედულებების შესაბამისად, რაც აღიარებულია ქართის მე-14 მუხლით ან მშობლების სურვილი, რომ მათ შვილებს უვლიდნენ ადამიანები, რომლებიც არ გამოხატავენ მათ რელიგიას ან რწმენას, როდესაც ბავშვებთან აქვთ ურთიერთობა იმ მიზნით, რომ, მათ შორის, “უზრუნველყონ ბავშვების თავისუფალი და პიროვნული განვითარება.” შესაბამისად, გერმანულ საქმეში სასამართლომ თავის განვითარებად ტესტებს დაამატა კიდევ ერთი დამცავი მექანიზმი “ნამდვილი საჭიროება”: კომპანიის თავისუფალი არჩევანი კი არ უნდა იყოს ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, არამედ ის მას ობიექტურად უნდა

სჭირდებოდა.<sup>25</sup> თუმცა, სასამართლომ ჩათვალა, რომ მშობლების სურვილი, მათი შვილების მასწავლებლები/მზრუნველები თავიან რწმენას არ გამოხატავდნენ, ამგვარ ობიექტურ საჭიროებას ქმნიდა.

აქვე სასამართლომ ეს შემთხვევა განახვავა ბუნაუი-ს შემთხვევისგან, სადაც დასაქმებული გაათავისუფლეს მხოლოდ კლიენტის საჩივრის საფუძველზე, ისე რომ არ არსებობდა რაიმე შიდა წესი რელიგიური სიმბოლიკის აკრძალვასთან დაკავშირებით.

მეორე, ნამდვილი აუცილებლობის დასადასტურებლად დამსაქმებელმა უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ ამგვარი პოლიტიკური, ფილოსოფიური ან რელიგიური ნეიტრალიტეტის გარეშე მისი მეწარმეობის თავისუფლება შეილახება, რადგან მისი საქმიანობის არსის ან შესრულების პირობებიდან გამომდინარე, მისთვის საზიანო შედეგები დადგება. სწორედ ამ საზიანო შედეგების გათვალისწინებით უნდა შემოწმდეს, მათ თავიდან ასაცილებლად რამდენად აუცილებელია რელიგიური სამოსის აკრძალვა .

ამდენად, დასაქმებულისთვის აშკარა რელიგიური სიმბოლიკის აკრძალვა, რომელიც უკავშირდება დამსაქმებლის სურვილს განახორცილოს პოლიტიკური, ფილოსოფიური ან რელიგიური ნეიტრალიტეტი, შეიძლება გამართლდეს, თუ: 1. ეს პოლიტიკა ნამდვილი აუცილებლობიდან გამომდინარეობს, რისი დამტკიცებაც დამსაქმებელს ეკისრება. ამისთვის გასათვალისწინებელია კლიენტების ლეგიტიმური სურვილები და ის ზიანი, რაც დამსაქმებელს მიადგება ამგვარი პოლიტიკის არარსებობისას, მის მიერ განხორციელებული საქმიანობის არსიდან და კონტექსტიდან გამომდინარე; 2. განსხვავებული მოპყრობა გამომდინარეობს დამსაქმებლის ნეიტრალიტეტის პოლიტიკის სათანადოდ აღსრულებიდან, რაც გულისხმობს რომ ეს პოლიტიკა აღსრულდება თანმიმდევრულად და სისტემურად; 3. აკრძალვა არ არის უფრო ფართო და მკაცრად აუცილებელია იმ ზიანის ხარისხის და სიმძიმის გათვალისწინებით, რისი აცილებაც დამსაქმებელს ამ აკრძალვის მიღებით სურს.<sup>26</sup>

ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ ახსნა რას ემსახურება ევროკავშირის კანონმდებლობაში დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი: “დისკრიმინაციას, მათ შორის, დისკრიმინაციას რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუძლია ძირი გამოუთხაროს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მიზნების

---

<sup>25</sup> W. Hutten, N. Mustafa, Contesting Neutrality Code of Europe, March, 2022, Open Society Foundations, გვ. 18.

<sup>26</sup> იხ. ზემოთ, ვეიბის საქმე, პარ. 70

მიღწევას, კერძოდ დასაქმებისა და სოციალური დაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას, ცხოვრების სტანდარტისა და ხარისხის ამაღლებას, ეკონომიკურ და სოციალურ სიმყარეს და სოლიდარობას და მიზანს, რომ ევროკავშირი განვითარდეს როგორც თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის სივრცე.” (პარ. 62)

ამავე გადაწყვეტილებაში, მიუღწერის საქმეზე, სასამართლომ დაადგინა – მხოლოდ დიდი ზომის სიმბოლოების აკრძალვა ნიშნავდა, რომ ეს წესი უფრო დიდ გავლენას იქონიებდა იმ ხალხზე, ვისი რელიგიური, ფილოსოფიური ან არა-რელიგიური რწმენა მოითხოვდა დიდი ზომის სიმბოლოების ტარებას, როგორცაა მაგალითად თავსაბურავი. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს უთანასწორობა, რომელიც პირდაპირ უკავშირდებოდა დირექტივაში ნახსენებ დისკრიმინაციის დაცულ საფუძვლებს, შეიძლებოდა პირდაპირ დისკრიმინაციადაც ჩათვლილიყო. ხოლო თუ შიდა სასამართლოები ამ შემთხვევას არაპირდაპირ დისკრიმინაციად განიხილავდნენ, ყველა გარემოების გათვალისწინებით, სასამართლომ მიუთითა, რომ ნეიტრალიტეტის პოლიტიკა შეიძლება ეფექტური იყოს მხოლოდ მაშინ, თუ დასაქმებულებს აკრძალვებით პოლიტიკური, ფილოსოფიური ან რელიგიური რწმენის ყველა თვალსაჩინო გამოხატვა, რადგან “ნებისმიერი, თუნდაც მცირე ზომის სიმბოლოს ტარება აკნინებს ამ ღონისძიების უნარს მიაღწიოს დასახელებულ მიზანს და შესაბამისად, კითხვის ნიშანს აჩენს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად თანმიმდევრულია ნეიტრალიტეტის პოლიტიკა.”

ბოლოს, 2022 წლის 13 ოქტომბრის საქმეში “ლ.ფ. “SCRL”-ის წინააღმდეგ” სასამართლომ კიდევ ერთხელ, თუმცა მოკლედ იმსჯელა ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე, როგორც ლეგიტიმურ მიზანზე რელიგიური თავსაბურავის აკრძალვის კონტექსტში. ისლამის მიმდევარს სურდა მოჰასუხე კომპანიაში ანაზღაურების გარეშე სტაჟირების გავლა. გასაუბრების შედეგად, კომპანიის წარმომადგენლებმა მას პოზიტიური შეფასება მისცეს და ჰკითხეს, თუ შეასრულებდა კომპანიის მკაცრი ნეიტრალიტეტის პოლიტიკის მოთხოვნებს, რაზეც განმცხადებელმა, რომელიც ისლამურ თავსაბურავს ატარებდა, უარი განაცხადა. ლ.ფ.-ს უარი ეთქვა სტაჟირებაზე და კომპანიამ არ მიიღო მისი შეთავაზება რაიმე სხვა ტიპის თავსაბურავის, მაგალითად ქუდის გამოყენების შესახებ.

ნეიტრალიტეტის წესი მოცემული იყო “SCRL”-ის დასაქმების პირობებში და ადგენდა შემდეგს: “დასაქმებულები ვალდებული არიან პატივი სცენ კომპანიაში ნეიტრალიტეტის მკაცრ პოლიტიკას და უზრუნველყონ, რომ სიტყვით, ჩაცმულობით ან რაიმე სხვა ფორმით არ გამოხატონ მათი რელიგიური, ფილოსოფიური ან სხვა

პოლიტიკური რწმენა, რაც არ უნდა იყოს ის.” ბელგიის შრომის ტრიბუნალმა მიმართა ევროკავშირის სასამართლოს იმის გასარკვევად ნეიტრალიტეტის ამგვარი წესი ხომ არ არღვევდა თანასწორობის დირექტივის მოთხოვნებს.

მიუღერის საქმისგან განსხვავებით, სასამართლომ ამ საქმეში თავიდანვე გამორიცხა პირდაპირი დისკრიმინაცია, რადგან კომპანიის ნეიტრალიტეტის წესი თანაბრად და უგამონაკლისოდ (“general and undifferentiated manner”) ვრცელდებოდა ყველა რელიგიის, ფილოსოფიის ან პოლიტიკური შეხედულების გამოხატვაზე. რაც შეეხებოდა არაპირდაპირ დისკრიმინაციას, იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასამართლო დაადგენდა, რომ ნეიტრალიტეტის წესი უთანასწორო მდგომარეობაში აყენებდა კონკრეტული რელიგიის ან რწმენის მატარებელ პირებს, საჭირო იქნებოდა მისი გამართლების შემოწმება.

“რაც შეეხება ლეგიტიმური მიზნის არსებობას, დამსაქმებლის სურვილი, რომ საჯარო თუ კერძო სექტორის კლიენტებს წარუდგეს პოლიტიკური, ფილოსოფიური თუ რელიგიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკით შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურად. დამსაქმებლის სურვილი, რომ კლიენტებთან ქონდეს ნეიტრალიტეტის იმიჯი, უკავშირდება ქარტიის მე-16 მუხლით აღიარებული მეწარმეობის თავისუფლებას და პრინციპში ლეგიტიმურია, განსაკუთრებით, როდესაც დამსაქმებელი ამ მიზნის მიღწევას ცდილობს მხოლოდ იმ დასაქმებულებთან მიმართებით, რომლებიც შემხებლობაში არიან დამსაქმებლის კლიენტებთან...”

40. თუმცა, სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, რომ მხოლოდ დამსაქმებლის სურვილი განახორციელოს ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, მართალია წარმოადგენს თავისთავად ლეგიტიმურ მიზანს, მაგრამ არ არის საკმარისი, რათა ობიექტურად გაამართლოს განსხვავებული მოპყრობა რომელიც არაპირდაპირ უკავშირდება რელიგიას ან რწმენა, რადგანაც ასეთი გამართლებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც დამსაქმებელს მისი რეალური საჭიროება აქვს, რისი დამტკიცებად დამსაქმებელს ეკისრება...”

ტესტის დონეზე ბოლო გადაწყვეტილებით ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს რაიმე ახალი არ დაუდგენია და გაიმეორა წინა საქმეებში არჩეული მიდგომა. თუმცა, ამ მიდგომას არაერთი კრიტიკოსი ჰყავს, განსაკუთრებით იმ ნაწილთან მიმართებით, რომ უაპელაციოდ ხდება ნეიტრალური კორპორაციული იმიჯის ლეგიტიმურ მიზნად მიღება, იმის კრიტიკული ანალიზის გარეშე, თუ ავტომატურად რატომ არის შეუთავსებელი თავსაბურთიანი დასაქმებული ნეიტრალიტეტის იმიჯთან.

პრობლემურია ისიც, რომ ნეიტრალური იმიჯი მეწარმეობის თავისუფლების უფლების ნაწილად მოიაზრა სასამართლომ და ამით ამ არგუმენტის წონა გაზარდა. ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს პროპორციულ საშუალებად მიაჩნია, თავსაბურიანი თანამშრომლისთვის ისეთი სამსახურის შეთავაზება, სადაც მათ არ მოუწევთ კლიენტებთან ურთიერთობა, რასაც ამ ადამიანებისთვის სტიგმატიზაციის და ბექ-ოფისებში გაუჩინარების შედეგი შეიძლება ქონდეს.<sup>27</sup>

მიუხედავად მთელი ამ სისტემური და ანალიტიკური ნაკლოვანებებისა, იმის თქმა არ შეიძლება, რომ მართლმსაჯულების სასამართლომ კარტ-ბლანში მისცა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ან დამსაქმებლებს რელიგიური სამოსის შესაზღუდად. იმ ნაწილში, რაც ეხება კლიენტების ცრურწმენებს თავსაბურავთან დაკავშირებით, ტესტი საკმაოდ მკაცრად და ეფექტურად იცავს დასაქმებულს რელიგიური სამოსით. პრობლემის მთავარწყარო ნეიტრალური კორპორაციული იმიჯის ლეგიტიმურ მიზნად მიღებაა, რადგან ნეიტრალიტეტის იდეა რელიგიური უმცირესობების დასაცავად გაჩნდა, და არა მათ დასაჩაგრად. ამის შემდეგ, რამდენად შეიძლება ან რამდენად საკმარისია რელიგიის თავისუფლების დაცვა მხოლოდ პროპორციულობის ანალიზის მეშვეობით ნაწილობრივ შეიძლება დავინახოთ სტრასბურგის და ლუქსემბურგის პრაქტიკის გათვალისწინებით, ნაწილობრივ კი პასუხი გაუცემელი დარჩება პრაქტიკის შემდგომ განვითარებამდე.

### **1.3. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები**

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს (შემდეგში “ევროსასამართლო”) ძალიან ვრცელი პრაქტიკა აქვს რელიგიური სიმბოლოების ტარებასთან, როგორც კონვენციის მე-9 მუხლით დაცული რელიგიის მანიფესტაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით. თუმცა, გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტისგან განსხვავებით, მისი მიდგომები ბევრად უფრო შემზღუდავია ამ თავისუფლების ნაწილში, რაც იმის გამოხატულებაა, რომ სახელმწიფოები ამ სფეროში განსაკუთრებით ფართო შეფასების თავისუფლებით სარგებლობენ.

კონტექსტის მიხედვით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ოთხ დიდ ნაწილად შეიძლება დავყოთ რელიგიური სიმბოლოების ტარებასთან დაკავშირებით: 1. რელიგიური სიმბოლოები საჯარო სივრცეში; 2. რელიგიური სიმბოლოები სკოლებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში; 3. რელიგიური

---

<sup>27</sup> Shay Buckley, Restricting Religious Clothing in the Workplace: A Critical Examination of Legitimate Aims, 20 U. C. DUBLIN L. REV. 61 (2020), გვ. 79



სიმბოლოები საჯარო სამსახურში; 4. რელიგიური სიმბოლოები კერძო სამსახურში. რადგან ამ კვლევის აქცენტი ამ ბოლო ორ ასპექტზეა, პირველ ორ საკითხს მოკლედ შევხებით.

როგორც ევროსასამართლოს პრაქტიკის გზამკვლევი აღნიშნავს, საქმეები, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო განათლების სფეროში რელიგიური სამოსის ტარებას, როგორც წესი ინდივიდის საწინააღმდეგოდ წყდება, რადგან განსაკუთრებული წონა ენიჭება მოსწავლეებისთვის ნეიტრალური გარემოს დაცვას. ეს წონა მით უფრო დიდია, რაც უფრო მცირეა ბავშვების ასაკი და შესაბამისად, მათზე გავლენის მოხდენის ალბათობა.<sup>28</sup> ამ მხრივ, მასწავლებელთა შეზღუდვა, როგორც წესი, გამართლებულად არის ხოლმე მიჩნეული. რაც შეეხება მოსწავლეების ან სტუდენტების საჩივრებს, რაც უკავშირდება რელიგიური სამოსით, ძირითადად თავსაბურავით სკოლაში ან უნივერსიტეტში სიარულს, ამ განაცხადების უმეტესობა ევროსასამართლომ ან დაუსაბუთებლად ცნო და საერთოდ არ მიიღო განსახილველად, ან მიიჩნია, რომ სახელმწიფოს გამართლება (რომელიც ძირითადად უკავშირდება სხვა უფლებების, საჯარო წესრიგის ან ჯანმრთელობის დაცვას) გონივრული იყო და შეზღუდვა გამართლებულად ჩათვალია.<sup>29</sup>

საჯარო სივრცეში რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარების ნაწილშიც კონკრეტული სახელმწიფოს არგუმენტებს უფრო დიდი წონა აქვთ (ერთიანი ევროპული კონსენსუსის არარსებობის გამო) ვიდრე გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრაქტიკაში. ამის ნათელი მაგალითია საქმე “S.A.S საფრანგეთის წინააღმდეგ”<sup>30</sup>, სადაც კანონი სახის სრულად დაფარვის შესახებ, რომელიც გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა პაქტთან შეუსაბამოდ ცნო, ევროსასამართლომ კონვენციის შესაბამისად მიიჩნია. ტექსტობრივი თვალსაზრისით ამის ახსნა, ის შეიძლება იყოს, რომ შეზღუდვის გამართლებისთვის პაქტი მოითხოვს სხვათა ფუნდამენტური უფლებების არსებობას, და “ერთად ცხოვრების” კონცეფცია კომიტეტმა არ ჩათვალია ფუნდამენტურ უფლებად. კონვენციის მე-9 მუხლის მეორე პუნქტი ახსენებს “სხვათა უფლებებს” (“ფუნდამენტური“-ს გარეშე) და სასამართლომ ჩათვალია, რომ ადამიანთან ინტერაქციისთვის სახის დანახვა აადვილებს ერთად ცხოვრებას და ამდენად მნიშვნელოვანია სხვათა უფლებების დასაცავად. ამდენად ეს შეზღუდვა იმ საფუძვლით ჩათვალია გამართლებულად, რომელიც არ იყო მისაღები

<sup>28</sup> Council of Europe/European Court of Human Rights, on Article 9 of the Convention – Freedom of Thought, Conscience and Religion, 2022, გვ. 35-41

<sup>29</sup> იქვე, პარ. 104-107.

<sup>30</sup> Case of S.A.S. v. France, Application no. 43835/11, 01/07/2014, <https://bit.ly/3FvodcL>

გაეროს კომიტეტისთვის. თუმცა, მთავარი არის ის, რომ ევროსასამართლომ იხელმძღვანელა სახელმწიფოს ფართო დისკრეციის დოქტრინით და არ მოინდომა ჩარევა წევრი სახელმწიფოს მიერ დადგენილ ბალანსში.<sup>31</sup>

რაც შეეხება დასაქმების კონტექსტს და დასაქმებულთა რელიგიის თავისუფლებას რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარებასთან დაკავშირებით, ქვემოთ განხილული იქნება ორი გადაწყვეტილება, რომელიც ამ მიმართებით ადგენს სტანდარტებს საჯარო და კერძო სფეროსთვის.

2013 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე “ევეიდა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”<sup>32</sup> ევროსასამართლომ იმსჯელა რამდენიმე განსხვავებულ შემთხვევაზე, მათ შორის საჯარო და კერძო დამსაქმებელთან ჯვრის ტარებაზე. პირველი განმცხადებელი, ევეიდა კერძო კომპანიის “British Airways” გამცილებელი იყო, რომელსაც მოეთხოვებოდა ფორმის ტარება; მეორე განმცხადებელი, ჩაპლინი კი ექთანი იყო სახელმწიფოს კუთვნილ საავადმყოფოში, ხანდაზმულ ადამიანთა განყოფილებაში. ორივე განმცხადებელს აკრძალა სხვებისთვის დასანახად, ანუ აშკარად ჯვრის ტარება. სადავო არც ერთ შემთხვევაში ყოფილა ის, რომ ჯვრის ტარება განპირობებული იყო ამ პირების სურვილით ეღიარებინათ ქრისტიანული სარწმუნოება და ამდენად ის წარმოადგენდა კონვენციის მე-9 მუხლით დაცული რელიგიური რწმენის მანიფესტაციას. სასამართლომ თითოეული განმცხადებლის შემთხვევაში ინდივიდუალურად შეაფასა შეზღუდვა.

განმცხადებელი ევეიდას შემთხვევაში, რადგანაც შეზღუდვა არ მომდინარეობდა უშუალოდ სახელმწიფოსგან, ევროსასამართლოს უნდა ემსჯელა მე-9 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების ქრილში და უნდა შეემოწმებინა ქალბატონი ევეიდას უფლება, თავისუფლად გამოეხატა თავისი რელიგია, საკმარისად დაცული თუ იყო შიდა სამართლებრივ წესრიგში, “თუ იყო მიღწეული სამართლიანი ბალანსი განმცხადებლის და სხვების უფლებებს შორის”.

ამ საკითხზე მსჯელობისას სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის წევრი სახელმწიფოების უმრავლესობის მსგავსად, გაერთიანებულ სამეფოში არ არსებობდა სპეციალური რეგულაცია სამუშაო ადგილზე რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარებასთან დაკავშირებით. თუმცა, ქვეყნის ფარგლებში სამართალწარმოება კომპანიასა და ევეიდას შორის მომდინარეობდა ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით და შესაბამისად, სასამართლომ არ ჩათვალა, რომ

---

<sup>31</sup> იქვე, პარ. 137-162.

<sup>32</sup> Eweida and Others v. the United Kingdom - 48420/10, 36516/10, 51671/10 et al., Judgment 15.1.2013

განმცხადებლის უფლება გამოეხატა თავისი რელიგია სამართლის დონეზე არასაკმარისად იყო დაცული.

კომპანიის პოლიტიკა, რომ ყველა ბორტგამცილებელს ერთნაირი ფორმა უნდა ეტარებინა რაიმე სამკაულებისა თუ რელიგიური სიმბოლოების გარეშე ემსახურებოდა, კომპანიის იმიჯის დამკვიდრებას და ბრენდისა და მისი პერსონალის ცნობადობის გაზრდას, რაც ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნეის ინგლისის სასამართლოებმაც და ევროსასამართლომაც. სასამართლომ ისიც გაითვალისწინა, რომ კომპანიის მიერ მიღებული ზომების პროპორციულობის შეფასებისას (სხვა პოზიციაზე გადაყვანის შეთავაზება და სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება), ეროვნულ სასამართლოებს უნდა ჰქონოდათ შეფასების თავისუფლება.

“ეს სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ამ საქმეში სამართლიანი ბალანსი არ მიღწეულა. სასწორის ერთ მხარეს არის ქალბატონი ევეიდას სურვილი, გამოეხატოს თავისი რელიგიური რწმენა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ფუნდამენტური უფლებაა, რადგან ჯანსაღი დემოკრატიული საზოგადოება ტოლერანტული უნდა იყოს და ინარჩუნებდეს პლურალიზმს და განსხვავებულობას; კიდევ იმის გამო, რა ღირებულებაც აქვს რელიგიური ადამიანისთვის თავისი რწმენის გადმოცემას სხვა ადამიანების წინაშე. სასწორის მეორე მხარეს არის დამსაქმებლის სურვილი წარმოაჩინოს გარკვეული კორპორაციული იმიჯი. სასამართლო მიიჩნევს, რომ თუმცა ეს მიზანი უდავოდ ლეგიტიმურია, ეროვნულმა სასამართლოებმა მას ზედმეტად დიდი წონა მიანიჭეს.”

სასამართლომ გაითვალისწინა, რომ განმცხადებლის ჯვარი არ იყო თვალშისაცემი და არ გამოიწვევდა ყურადღების გადატანას მისი პროფესიული ჩაცმულობიდან. არც იმის მტკიცებულება არსებობდა, რომ წინათ დაშვებული რელიგიური სამოსი, მაგალითად, სიქების ტურბანი ან ჰიჯაბი უარყოფით გავლენას ახდენდა “ბრიტიშ ეარვეიზ“-ის იმიჯზე. ამასთან ის ფაქტი, რომ საბოლოოდ კომპანიამ შეცვალა ფორმასთან დაკავშირებული მოთხოვნა და დაუშვა აშკარა რელიგიური სიმბოლოების ტარება, მოწმობს რომ წინა აკრძალვა არ იყო მნიშვნელოვანი. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ სხვების ინტერესებს რეალურად ზიანი არ ადგებოდათ და ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს სათანადოდ დაეცვათ განმცხადებლის რელიგიის გამოხატვის თავისუფლება.

მეორე განმცხადებლის შემთხვევაში, ევროსასამართლომ შეზღუდვა გამართლებულად ჩათვალა. გერიატრიულ განყოფილებაში ყელსაბამები აკრძალული იყო ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, პაციენტებისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად. მეწკვისა და ჯვრის ტარება განმცხადებლის

რწმენის გამოხატულებას წარმოადგენდა, და შესაბამისად ექთნის სამსახურიდან გათავისუფლება ჯვრის ტარების გამო იყო მის თავისუფლებაში ჩარევა. თუმცა სასამართლომ გაითვალისწინა ის არგუმენტი, რომ ემოციურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტს შეეძლო ხელი წაეველო ჯვრისთვის და ზიანი მიეყენებინა საკუთარი თავის ან ექთნისთვის, ასევე ზრუნვის მომენტში ჯვარი შეიძლებოდა შეხებოდა პაციენტის ღია ჭრილობას, რაც აგრეთვე ზიანის გამომწვევი იქნებოდა. ამასთან, ეს პოლიტიკა თანაბრად ვრცელდებოდა სხვა ექთნებზეც, რომელთაც ქონდათ ჯვრის, სიჭკების რელიგიური სამაჯურის ან კირპანის ან ისლამური ჰიჯაბის ტარების სურვილი. განმცხადებელს ასევე შეთავაზეს შესაძლებლობა, რომ გულსაბნევის სახით ან მაღალყელიანი ზედის ქვეშ ეტარებინა ჯვარი, რაზეც მან უარი განაცხადა. სასამართლომ აღნიშნა:

“99. ... მეორე განმცხადებლის უფლებას, გამოხატოს თავისი რელიგია ჯვრის აშკარად ტარებით მიმიე წონა უნდა მიენიჭოს დაბალანსების პროცესში. თუმცადა, ის, რის გამოც მას თხოვეს მოეხსნა ჯვარი, როგორცაა საავადმყოფოს განყოფილებაში ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, თავისთავად ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რაც იყო ქალბატონი ევეიდას შემთხვევაში. ამასთან ეს ის სფეროა სადაც ეროვნული ორგანოები უნდა სარგებლობდნენ ფართო შეფასების თავისუფლებით. საავადმყოფოს მენეჯერები უკეთ შეძლებენ გადაწყვეტილების მიღებას კლინიკის უსაფრთხოების საკითხებზე, ვიდრე სასამართლო, განსაკუთრებით საერთაშორისო სასამართლო, რომელსაც პირდაპირი მტკიცებულებების განხილვა არ შეუძლია.” მეორე განმცხადებელთან მიმართებით მე-9 მუხლის დარღვევა არ დადგინდა.

მეორე განმცხადებლის მსგავსად, საჯარო საავადმყოფოში რელიგიური სამოსის ტარებას შეეხებოდა ევროსასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე “ებრაჰიმისანი საფრანგეთის წინააღმდეგ”.<sup>33</sup> მიუხედავად იმისა, რომ საავადმყოფოების ნაწილში რელიგიური სამოსის აკრძალვის დასაბუთება დიდწილად იგივეა, რაც ჩაპლინთან მიმართებით აღნიშნა სასამართლომ, ებრაჰიმისანის საქმე მნიშვნელოვანია ზოგადად საჯარო მოხელეებისთვის დადგენილი შეზღუდვების თვალსაზრისით.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ებრაჰიმისანს, რომელიც სახელმწიფო საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში მუშაობდა სოციალურ მუშაკად არ განუახლეს კონტრაქტი, რადგან უარი თქვა სამსახურში თავსაბურავის გარეშე

<sup>33</sup> Ebrahimian c. France, application no. 64846/11, 26.11.2015

სიარულზე. სანამ კონტრაქტის გაგრძელებაზე უარს ეტყოდნენ, მას აუხსნეს, რომ სეკულარული სახელმწიფოს და საჯარო სამსახურის ნეიტრალიტეტის პრინციპებიდან გამომდინარე, მას არ ჰქონდა უფლება, ეტარებინა სიმბოლო, რომელიც აკავშირებდა კონკრეტულ რელიგიასთან. შესაბამისად, სასამართლომ ამ საქმეში საჭიროდ ჩათვალა საჯარო მოსამსახურეებისთვის დასაშვები შეზღუდვების პრინციპები ჩამოეყალიბებინა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარებასთან დაკავშირებით:

- დემოკრატიული საზოგადოებები განსხვავებულ გადაწყვეტებს ირჩევენ და ევროპაში არ არსებობს ერთიანი აღქმა რელიგიის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებებში, რაც ნიშნავს, რომ რელიგიის საჯაროდ გამოხატვის ეფექტი განსხვავებულია სხვადასხვა დროსა და ადგილზე. რამდენადაც ქვეყნების ეროვნული ტრადიციები და საჯარო წესრიგისა და სხვათა უფლებების დაცვის საჭიროებები განსხვავდება, სახელმწიფოების გადასაწყვეტი უნდა იყოს, რა ფორმის და მოცულობის რეგულაციების აირჩევენ. (პარ. 56)

- კურტულმუს (*Kurtulmuş*) საქმეში თავის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით სასამართლომ გაიმეორა, რომ სახელმწიფოს აქვს უფლება, შეზღუდვა დაუდგინოს საჯარო მოსამსახურეებს მათი სტატუსის გამო საჯაროდ და თვალშისაცემად მათი რელიგიური რწმენის გამოხატვისას, თუმცა საჯარო მოსამსახურეები ინდივიდები არიან, რაც ნიშნავს, რომ ისინიც სარგებლობენ კონვენციის მე-9 მუხლის დაცვით.

- ამის მიუხედავად, სასამართლომ ისევ კურტულმუს საქმეზე დაყრდნობით განაცხადა, რომ “დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უფლებამოსილია, დაადგინოს ისლამური თავსაბურავის ტარებაზე შეზღუდვები, თუ ის შეუთავსებელია სხვა უფლებებისა და თავისუფლებების ან საჯარო წესრიგის დაცვასთან.”

- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი განცხადება “ჩაცმულობასთან დაკავშირებული წესები ეხება თანაბრად ყველა საჯარო მოსამსახურეს მისი რელიგიური რწმენისა და ფუნქციების მიუხედავად. რადგანაც საჯარო მოსამსახურეები წარმოადგენენ სახელმწიფოს თავიანთი ფუნქციების შესრულებისას, წესები მოითხოვს, რომ ისინი გამოიყურებოდნენ ნეიტრალურად, რათა

დაიცვან სეკულარიზმის და მისი თანმდევი, ნეიტრალური საჯარო სამსახურის პრინციპი.” დამატებით, სასამართლომ მიუთითა თავის გადაწყვეტილებაზე ფოგტის (Vogt) საქმეში და გაიმეორა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებს შეიძლება ჰქონდეთ უფლება, მოსთხოვონ საჯარო მოსამსახურეებს მისი დამფუძნებელი კონსტიტუციური პრინციპების ერთგულება.

ამ პრინციპების განსახილველ საქმეში გამოყენებისას სასამართლომ აღნიშნა, რომ სეკულარიზმისა და ნეიტრალიტეტის პრინციპები გამოიყენება საჯარო მოსამსახურეთა მიერ რელიგიური სიმბოლოების ტარების შეზღუდვის გასამართლებლად, განსაკუთრებით, როცა ეს ეხება საჯარო სექტორში დასაქმებულ მასწავლებლებს. სასამართლოს აზრით, საჯარო მოსამსახურის სტატუსი განარჩევს მათ რიგითი მოქალაქეებისგან, რომლებსაც არ აქვთ თავშეკავების ვალდებულება საჯარო სივრცეში მათი რელიგიური რწმენის გამოხატვისას. ამის გათვალისწინებით, სასამართლომ გაიზიარა პოზიცია, რომ “სახელმწიფოს... აქვს უფლება მოსთხოვოს სახელმწიფო საავადმყოფოში დასაქმებულ განმცხადებელს, რომელიც ეკონტაქტება პაციენტებს, რომ მან თავის შეიკავოს თავისი რელიგიური რწმენის გამოხატვისგან მოვალეობის შესრულების პროცესში, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი პირების მიმართ თანასწორი მოპყრობა. ...ნეიტრალიტეტი საჯარო საავადმყოფოში შეიძლება უკავშირდებოდეს მისი პერსონალის დამოკიდებულებებს, და მოითხოვს რომ პაციენტებს არ გაუჩნდეთ ეჭვები იმ პირების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, ვინც მათ მკურნალობს.” შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ საფრანგეთს არ გადაუჭარბებია თავისი დისკრეციის ფარგლებისთვის ნეიტრალიტეტისა და სეკულარიზმის პრინციპების მკაცრად აღსრულებისას, როდესაც პაციენტების უფლებებს და მომსახურების სათანადოდ გაწევას მიანიჭა უპირატესობა და არ დაურღვევია რელიგიის გამოხატვის თავისუფლება.

ბოლოს უნდა ითქვას რელიგიური სამოსის ტარებასთან დაკავშირებულ წესებზე, როდესაც მოქალაქეები იმყოფებიან გარკვეულ საჯარო დაწესებულებებში, როგორცაა სასამართლო. აღნიშნულ საკითხზე ორ საქმეში დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-9 მუხლის დარღვევა. ერთ შემთხვევაში მოწმედ გამოძახებული მუსლიმი მამაკაცი სასამართლოს უპატივცემულობისთვის დააჯარიმეს, როდესაც მან უარი თქვა რელიგიური ქუდის მოხდაზე; ჯარიმის გადაუხდელობის გამო, კი 30 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს (ჰამიდოვიჩი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის წინააღმდეგ).<sup>34</sup> მეორე შემთხვევაში, ქალს,

<sup>34</sup> Hamidović v. Bosnia and Herzegovina, application no. 57792/15, 5.12.2017

რომელმაც უარი თქვა ჰიჯაბის მოხდაზე, არ მისცეს საშუალება, დასწრებოდა მისი ძმის მკვლელობის საქმის განხილვას სასამართლოში (ლაშირი ბელგიის წინააღმდეგ).<sup>35</sup>

ორივე შემთხვევაში დარღვევის დადგენა მოჰყვა იმას, რომ სასამართლოს მიმართ უპატივცემულობისთვის პასუხისმგებლობა პირებს დაეკისრათ მხოლოდ იმის გამო, რომ რელიგიური თავსაბურავი არ მოიხსნეს, მიუხედავად იმისა, რომ სხვა მხრივ არ დაურღვევიათ წესრიგი და გამოხატავდნენ მხოლოდ კანონმორჩილებას.

სასამართლომ ორივე შემთხვევაში ხაზი გაუსვა იმას, რომ თუმცა სასამართლო საჯარო დაწესებულებაა, ჩვეულებრივ მოქალაქეებს არ უნდა დაეკისროთ თავშეკავებისა და ნეიტრალიზების ისეთი ტვირთი, რაც აქვთ საჯარო მოხელეებს:

“ეს საქმე უნდა განვასხვავოთ იმ საქმეებისგან, რომლებიც ეხებოდა რელიგიური სიმბოლოებისა და სამოსის ტარებას სამუშაო ადგილზე, განსაკუთრებით იმ საჯარო მოხელეების მიერ, რომლებიც თავშეკავების, ნეიტრალიზებისა და მიუკერძოებლობის ვალდებულებით არიან შებოჭილში, რაც მოიცავს ვალდებულებას, არ ატარონ ამგვარი სიმბოლოები და სამოსი ოფიციალური უფლებამოსილების შესრულებისას... დემოკრატიულ საზოგადოებებში, მოქალაქეებს, როგორცაა განმცხადებელი, ჩვეულებრივ არ ეკისრებათ ასეთი ვალდებულება.”<sup>36</sup>

სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლო არ არის ისეთივე “საჯარო სივრცე” როგორცაა მაგალითად გზა ან მოედანი. ეს ისეთი საჯარო დაწესებულებაა, სადაც ნეიტრალიტეტის პატივისცემა შეიძლება დადგეს რელიგიის გამოხატვის თავისუფლებაზე მაღლა, როგორც საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაში ხდება.<sup>37</sup> ამის მიუხედავად, ლაშირის საქმეში არაფერი ადასტურებდა, რომ განმცხადებლის დარბაზში არშეშვება ემსახურებოდა საჯარო სივრცის ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას, ადგილი არ ჰქონდა განმცხადებლის მხრიდან უპატივცემულო ან ისეთ ქცევას, რომელიც ხელს შეუშლიდა სხდომის ჩატარებას. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ლაშირის საქმეში შეზღუდვა არ იყო საჭირო დემოკრატიულ სახელმწიფოში. რამდენიმე წლით ადრე იმავე დასკვნამდე მივიდა სასამართლო ჰამიდოვიჩის საქმეშიც.

---

<sup>35</sup> CASE OF LACHIRI v. BELGIUM, application no. 3413/09, 18/09/2018

<sup>36</sup> იხ. ზემოთ სქოლიო 21, პარ. 40

<sup>37</sup> იხ. ზემოთ სქოლიო 22, პარ. 45

## 1.4. დასკვნა

როგორც ზემოთ განხილული საქმეებიდან ჩანს, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიდგომა რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვასთან დაკავშირებით ყველაზე მკაცრია და დაცვის ყველაზე მაღალ სტანდარტს გვთავაზობს ამ მიმართებით. კომიტეტი არამხოლოდ გამართლებას ითხოვს შეზღუდვისთვის, არამედ ამ გამართლებას ზედმიწევნით ამოწმებს ხელმისაწვდომი სტატისტიკის, საპარლამენტო დებატების და კანონმდებლობის სისტემური ანალიზის მეშვეობით. იდენტურ საკითხებზე კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების შედარება საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, რამდენად ზედაპირულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის მიდგომაში და რამდენად მზადაა გაიზიაროს სახელმწიფოების მიერ შემოთავაზებული გამართლება წვერი სახელმწიფოების ფართო დისკრეციის დოქტრინის ფარგლებში. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს იურისდიქცია რამდენადმე განსხვავდება ამ ორი ინსტიტუტისგან, რადგან ის ტიპიური ადამიანის უფლებების სასამართლო ან კვაზი-სასამართლო არ არის. მისი მთავარი ფუნქცია ევროკავშირის სამართლის აღსრულების უზრუნველყოფაა და ამ პრობლემურ სფეროში ის იჭრება დასაქმების სფეროში თანასწორობის დირექტივის საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებლების მიერ რელიგიური სამოსის შეზღუდვის საკითხზე მისი პრაქტიკაც ფართო კრიტიკის საგანია, სასამართლომ რამდენიმე მნიშვნელოვანი სტანდარტი ჩამოაყალიბა: 1. დამსაქმებლებს შეუძლიათ ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გამო შეზღუდონ დასაქმებულის მიერ რელიგიური სამოსის ტარება, მაგრამ პოლიტიკა უნდა ტარდებოდეს ზოგადად და თანმიმდევრულად; 2. მხოლოდ ნეიტრალიტეტის სურვილი არ არის საკმარისი შეზღუდვის გასამართლებლად, ნეიტრალიტეტი ობიექტურად საჭირო უნდა იყოს საწარმოსთვის, ანუ მისი არარსებობის შემთხვევაში დამსაქმებელს ზიანი უნდა ადგებოდეს; 3. კლიენტის ახირება, რომელიც შეიძლება მის ცრურწმენას ემყარებოდეს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლის მიმართ, არ წარმოადგენს რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვის გასამართლებელ საფუძველს. ევროკავშირის თანასწორობის სამართლის მიზნებისთვის. ყველა ეს სტანდარტი შეიცავს თავის თავში რესურსს, რომ სამომავლოდ განვითარდეს და უკეთესი დაცვა შესთავაზოს რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებსაც ნეიტრალიტეტის სახელით ერთმევათ დასაქმების ადგილზე რელიგიური სამოსის ტარების უფლება.



## 2. რელიგიურ სიმბოლოებთან დაკავშირებული კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

რელიგიური ჩაცმულობის აკრძალვასთან დაკავშირებით ქვემოთ განხილულია ევროკავშირის რამდენი წევრი სახელმწიფოს მიდგომა და ამ მიდგომის დროში განვითარება ისლამოფობიისა და მემარჯვენე პოლიტიკის გაძლიერების ფონზე. როგორც ვნახავთ შიდა კანონმდებლობისა და პრაქტიკის განვითარებაზე განსაკუთრებულ როლს თამაშობს აგრეთვე რეგიონული და საერთაშორისო მექანიზმების დამოკიდებულება. თუმცა, საფრანგეთს ჯერ კიდევ არ შეუსრულებია გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტება, რომ სახის დაფარვის ზოგადი აკრძალვა შეუთავსებელია კონვენციით დაცულ თანასწორობისა და რწმენის თავისუფლებასთან. ამგვარი შეუსრულებლობის ლეგიტიმაციას ისიც შეიძლება ახდენდეს, რომ სხვა არანაკლებ ავტორიტეტულმა ადამიანის უფლებათა ინსტიტუტმა - ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეს აკრძალვა გამართლებულად მიიჩნია, რითაც სხვა ევროპულ სახელმწიფოებსაც, მათ შორის ავსტრიას და ბელგიას გზა გაუხსნა მსგავსი აკრძალვის დაკანონებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სახის დამფარავ კანონმდებლობასთან დაკავშირებით ეს მიდგომა არ არის ფართოდ გავრცელებული, სიტუაცია განსხვავებულია დარგობრივ კანონმდებლობაში; მაგალითად საჯარო სამსახურში რელიგიური სამოსის აკრძალვა თითქმის ყველგან გვხვდება, თუმცა არა ისე მკაცრად, როგორც საფრანგეთში.

ამასთან, დადებით როლს თამაშობს ევროკავშირის სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტებიც კერძო დამსაქმებლებისთვის. ეს სტანდარტები, სულ მცირე, იმას უზრუნველყოფს, რომ რელიგიური სამოსის და განსაკუთრებით ისლამური თავსაბურავის ტარება ავტომატური გათავისუფლების საფუძველი ვერ გახდება, დამსაქმებლის ან თუნდაც კლიენტების სურვილის მიუხედავად.

## 2.1. საფრანგეთი<sup>38</sup>

როგორც ზემოთ განხილული საქმეებიდან ჩანს, საფრანგეთი ხშირად არის მოპასუხე რელიგიური სამოსის აკრძალვასთან დაკავშირებულ საქმეებში. ამის ზოგადი და ისტორიული მიზეზი შეიძლება იყოს ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის მკაცრი მოდელი -laïcité, რომელიც საფრანგეთის 1905 წლის კანონითაა განმტკიცებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ 9/11 ტრაგედიისა და ისლამოფობიის ზრდასთან ერთად, ქვეყანა laïcité-ს სულ უფრო მკაცრად განსაზღვრავს. აქ აღსანიშნავია, რომ საფრანგეთს გააჩნია ყველაზე დიდი მუსლიმური მოსახლეობა ევროპის კავშირში (დაახლოებით მოსახლეობის 10% მუსლიმია). მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო გამოსვლები და მოძრაობა, სადაც საფრანგეთში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას მოითხოვდნენ. უმრავლესობის მხრიდან ამას მოჰყვა მემარჯვენე პოლიტიკის გაძლიერება და ეროვნული იდენტობის ძიებისა და სოციალური დაძაბულობის ამ კონტექსტში დაიწყო მსჯელობა ისლამურ თავსაბურავზე.<sup>39</sup>

2004 წელს საფრანგეთმა მიიღო კანონი, რომელიც კრძალავდა “თვალსაჩინო რელიგიურ სიმბოლოებს” საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის, რითაც laïcité-ს დოქტრინა საჯარო მოსამსახურეებიდან საჯარო მომსახურების მომხმარებლებზეც გავრცელდა. ამის გამო უამრავ მუსლიმ გოგონას მოუხდა სკოლის დატოვება, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მათი განაცხადები საერთოდ არ განიხილა დაუსაბუთებლობის მოტივით (იხ. ზემოთ, თავი II, ქვეთავი “გ”).<sup>40</sup>

2011 წელს საფრანგეთში ამოქმედდა პირველი ზოგადი შეზღუდვა სახის დაფარვაზე საჯარო სივრცეში 2010 წლის 11 ოქტომბრის 2010-1192 კანონის თანახმად “საჯარო სივრცეში სახის დაფარვის აკრძალვის შესახებ”, რაც აგრეთვე არ ჩათვალა დარღვევად ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (საქმეში ს.ა.ს. საფრანგეთის წინააღმდეგ). მიუხედავად იმისა, რომ კანონში ეს ისლამური რელიგიური სამოსი არაა ნახსენები, ამ კანონს ხშირად უწოდებენ ბურკის (ფართო მოსასხამი, რომელიც სრულად ფარავს სხეულს თავიდან ფეხებამდე, მათ შორის თვალმსაც) ან მთლიანი თავსაბურის კანონს.<sup>41</sup>

2016 წლის აგვისტოში, ცვლილება შევიდა საფრანგეთის შრომის კოდექსში და 1321-

---

<sup>38</sup> M. H'madoun, H. Bui, Restrictions on Muslim Women's Dress in the 27 EU Member States and the United Kingdom, March 2022, Open Society Justice Initiative, გვ. 73-99

<sup>39</sup> იქვე, გვ. 73

<sup>40</sup> იქვე, გვ. 74

<sup>41</sup> იქვე, გვ. 76

2-1 მუხლი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: “შინაგანაწესი შეიძლება შეიცავდეს ნორმას, რომელიც დაადგენს ნეიტრალიტეტის პრინციპს და აკრძალავს დასაქმებულების რწმენის გამოხატვას თუ ეს შეზღუდვები გამართლებულია სხვათა უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დასაცავად ან საჭიროა საწარმოს გამართული ფუნქციონირებისთვის და თუ ის პროპორციული დასახული მიზნისა.” აღნიშნული საკანონმდებლო დებულება, პრინციპის დონეზე შეესაბამება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიდგომას.

2021 წელს საფრანგეთმა მიიღო ახალი კანონი “2021 წლის 24 აგვისტოს კანონი რომელიც განამტკიცებს რესპუბლიკის პრინციპების პატივისცემას”. ამ კანონს სეპარატიზმის აქტსაც უწოდებენ არაოფიციალურად, რადგან მუსლიმების ცალკეულ რელიგიურ პრაქტიკას კანონი პირდაპირ უწოდებს “სეპარატისტულს”. კანონში მოცემულია ნორმები, რომლებიც მოითხოვენ, რომ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც თანამშრომლობენ საჯარო სამსახურებთან (კერძო კონტრაქტორებს) გააჩნდეთ ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, ანუ მათაც ეკრძალებათ რელიგიური ჩაცმულობა. კანონი აგრეთვე მოითხოვს ნებართვას შინ სწავლებისთვის, რითაც მუსლიმ გოგოებს, რომელთაც სკოლაში თავსაბურავით სიარულის უფლება არ აქვთ, შინ სწავლის შესაძლებლობა ეზღუდებათ. მიუხედავად, კონკრეტულად ისლამის წინააღმდეგ მიმართული ამ ზომებისა, “საფრანგეთში მცხოვრები არამუსლიმი მოსახლეობის 23%-ს სჯერა, რომ მუსლიმების არჩევანი რელიგიურ სამოსთან დაკავშირებით არ უნდა შეიზღუდოს, ხოლო დამატებით 51% თვლის, რომ თუ სახე მთლიანად არაა დაფარული, სხვა შეზღუდვა არ უნდა გავრცელდეს ჩაცმულობაზე.” ამის მიუხედავად, საჯარო სამსახურში, ისევე როგორც საჯარო სკოლებში თავსაბურავის ტარება გამორიცხებულია.<sup>42</sup>

2016 წელს ცვლილება შევიდა 1983 წლის კანონში “საჯარო მოსამსახურეების უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ” და მათ პირდაპირ მოეთხოვებათ რომ თავიანთი მოვალეობების შესრულებისას იმოქმედონ ნეიტრალიტეტისა და laïcité-ს თანახმად. ეს ვალდებულება ვრცელდება ყველა საჯარო ინსტიტუტზე, სახელმწიფო საავადმყოფოებისა და საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩათვლით. როგორც საკონსტიტუციო საბჭო, ისე სახელმწიფო საბჭო (უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო) მკაცრად იცავენ და მხარს უჭერენ საჯარო მოსამსახურეების ამ ვალდებულებას, როგორც საჯარო სამსახურის ფუნდამენტურ პრინციპს. 2020 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებაში (217017) სახელმწიფო საბჭომ იმსჯელა საქმეზე, რომელიც ეხებოდა საშუალო სკოლის მასწავლებლის

<sup>42</sup> იქვე, გვ. 78

გათავისუფლებას, თავსაბურავის ტარების გამო. სასამართლომ თქვა, რომ სეკულარიზმის და ნეიტრალიტეტის პრინციპი ვრცელდება ყველა საჯარო სამსახურზე, “ეს გამომდინარეობს კონსტიტუციური და საკანონმდებლო ტექსტებიდან, რომ სინდისის თავისუფლების, სახელმწიფოს სეკულარული ხასიათისა და საჯარო სამსახურის ნეიტრალიტეტის პრინციპები ვრცელდება ყველა საჯარო სამსახურზე.”<sup>43</sup>

უფრო ადრე, საჯარო სკოლებში რელიგიური სამოსის შეზღუდვის შემოღებისას, როდესაც მუსლიმმა მოსწავლეებმა გაასაჩივრეს ეს შეზღუდვა, სახელმწიფო საბჭომ აღნიშნა, რომ თავსაბურავის ტარება თავისთავად შეუთავსებელი არ იყო სეკულარიზმის პრინციპთან, რადგან ის უზრუნველყოფდა მოსწავლის სინდისის თავისუფლებას. თუმცა ეს არ გულისხმობს ისეთი სიმბოლოების ტარებას, რაც თავისთავად ან მათი კონტექსტის გამო თვალშისაცემია, პროტესტის გამოხატვის ხასიათი აქვს, და შეიძლება განხილული იქნეს როგორც წნეხის, პროვოკაციის, პროზელიტიზმის ან პროპაგანდის ეფექტის მქონე. სასამართლომ აღნიშნა, რომ თავსაბურავის ტარების შეზღუდვის საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასებულიყო.<sup>44</sup>

მოსწავლეების შემდეგ განხილვა დაიწყო იმასთან დაკავშირებით, რომ მშობლებს, რომლებიც მიყვებოდნენ ბავშვებს სასკოლო ექსკურსიებზე აგრეთვე არ ჰქონდათ რელიგიური სამოსის ტარების უფლება. 2013 წელს სახელმწიფო საბჭომ არ გაიზიარა ეს მიდგომა და, ახსნა, რომ მშობლები არ არიან საჯარო მომსახურების მიმწოდებლები ან თანამშრომლები, არამედ მომხმარებლები და ამდენად ისინი არ უნდა დაექვემდებარონ რელიგიური ნეიტრალიტეტის მოთხოვნას. სასამართლოს ამ პოზიციის მიუხედავად, ამ საკითხზე მსჯელობა გაგრძელდა და რამდენიმე მცდელობას ჰქონდა ადგილი, მშობლების რელიგიურ ჩაცმულობასთან დაკავშირებით კანონში აკრძალვა შეეტანათ.<sup>45</sup>

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლომ 2021 წელს მიღებული გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მაღაზიის თანამშრომლის სარჩელი, რომელიც თავსაბურავის ტარების გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს. სასამართლომ მიუთითა, რომ გაათავისუფლება დისკრიმინაციული იყო, რადგან დამსაქმებელს არ ჰქონდა ზოგადი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, და ამასთან ვერ აჩვენა, რომ შეზღუდვა გამართლებული იყო და გამომდინარეობდა დასაქმებულის მოვალეობის

---

<sup>43</sup> იქვე, გვ. 80-81

<sup>44</sup> იქვე, გვ. 83

<sup>45</sup> იქვე, გვ. 84

ხასიათიდან, ან პროპორციული იყო დასახული მიზნისა. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ ბიზნესის იმიჯი ან კლიენტების სურვილები არ არის საკმარისი ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეს მიანიშნებს, რომ კრიტიკის მიუხედავად, ევროკავშირის სასამართლოს სტანდარტები გარკვეულ დაცვას სთავაზობს კერძო სფეროში დასაქმებულ პირებს.<sup>46</sup>

## 2.2. გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებულ სამეფოში დასაქმების სფეროში ჩაცმულობასთან დაკავშირებული წესები და შეზღუდვები დამოკიდებულია სამუშაოს სფეროზე და დამსაქმებლის სტატუსზე. ამ მხრივ შეზღუდვები, რომლებიც უკავშირდება კორპორაციულ იმიჯს, შეიძლება წარმოადგენდეს ლეგიტიმურ მიზანს, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს საკმარისი იყოს თავსაბურავის ასაკრძალად.<sup>47</sup> მეორე მხრივ, თუ საქმე ეხება ჯანმრთელობის ან ბავშვებისა და პერსონალის უსაფრთხოების დაცვას, შეზღუდვა მაღალი ალბათობით გამართლებულად ჩაითვლება. სასამართლო პრაქტიკა ადგენს შეზღუდვებს წვერის ტარებაზე, როცა საქმე ეხება საკვების შეფუთვის, აგრეთვე ადგენს რომ სარკინიგზო სამუშაოებში ჩართულ პირებს თავზე უნდა ეკეთოთ დამცავი აღჭურვილობა.<sup>48</sup> მეორე მხრივ, “საგზაო მოძრაობის შესახებ” კანონი (მუხლი 83) პირდაპირ ითვალისწინებს გამონაკლისს სიქჰი მოტიციკლეტის მძღოლებისთვის, რათა ისინი გათავისუფლდნენ ჩაფხუტის ტარების ვალდებულებისგან.<sup>49</sup> მსგავსი გამონაკლისი დაშვებულია სიქჰი მუშებისთვის დასაქმების შესახებ კანონშიც, რომელიც ტურბანის ტარების შემთხვევაში ათავისუფლებს მათ დამცავი ჩაფხუტის ტარების ვალდებულებისგან.<sup>50</sup>

გაერთიანებულ სამეფოში სკოლებში დასაშვები ჩაცმულობის საკითხი დეცენტრალიზებულია და შესაბამისი სკოლის გადასაწყვეტია. ამ საკითხზე სახელმძღვანელო საქმეა ლორდთა პალატის 2006 წლის გადაწყვეტილება საქმეზე “რ (ბეგუმის მომართვის საფუძველზე) დენბის საშუალო სკოლის დირექტორისა და

<sup>46</sup> იქვე, გვ. 87

<sup>47</sup> იხ. სქოლიო 25, გვ. 16

<sup>48</sup> L. Vickers, United Kingdom – Report on Non-Discriminationa, 1 January 2021 – 31 December, 2021, გვ. 46 – 47.

<sup>49</sup> Highway Code Rule 83, იხ. <https://www.gov.uk/guidance/the-highway-code/rules-for-motorcyclists-83-to-88>

<sup>50</sup> Employment Act 1989, S11, იხ. <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1989/38/section/11>

მმართველების წინააღმდეგ”.<sup>51</sup> დენბის სკოლას ჰქონდა დადგენილი ფორმა მუსლიმი გოგონებისთვის, რომელიც მოიცავდა თავსაბურავს, განიერ შარვალს და ზემოდან გადასაცმელ სამოსს, რომელიც წვდებოდა მუხლს ან წვივის შუა ნაწილს (Shalwar Kameez). აღნიშნული ფორმის ნაცვლად, სკოლის ერთ-ერთ მოსწავლეს, შაბინა ბეგუმს უნდოდა ეტარებინა ჯილბაბი, ფართო და გრძელი მოსასხამი, რის გამოც ის სკოლიდან გაირიცხა. ლორდთა პალატის მოსამართლეთა უმეტესობამ ჩათვალა, რომ ამ შემთხვევაში საერთოდ არ ჰქონდა ადგილი ჩარევას ევროკონვენციის მე-9 მუხლით დაცულ უფლებაში, რადგან მოსწავლეს ადვილად და რაიმე დამატებითი სირთულის გარეშე მიუწვდებოდა ხელი ორ სხვა სკოლაზე, სადაც ჯილბაბის ტარება დასაშვებია იყო. თუმცა, ოთხმა მოსამართლემ ჩათვალა, რომ ჩარევის არსებობის შემთხვევაშიც ის გამართლებული იქნებოდა სხვათა უფლებების დასაცავად. აქ იგულისხმებოდა ერთი მხრივ, ის რომ თუ სკოლა ჯილბაბის ტარებას დაუშვებდა, მუსლიმ გოგონებს შეიძლება თავი წნების ქვეშ ეგრძნოთ, რომ რელიგიური სამოსის ეს ფორმა ეტარებინათ. მეორე მხრივ, ჯილბაბის დაშვება გამოიწვევდა სკოლაში ორი კატეგორიის მუსლიმთა ჯგუფის წარმოქმნას და მათ შორის შესაძლო დაპირისპირებას, რაც საფრთხე იქნებოდა ჰარმონიისთვის და მოსწავლეთა უფლებებისთვის. მესამე, ჯილბაბი ასოცირდებოდა უფრო ექსტრემისტულ ან ფუნდამენტალისტურ რელიგიურ მოსაზრებებთან. ბოლოს, ლორდებზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა იმან, რომ სკოლის დირექტორი იყო თავად ბენგალიდან, პატივს სცემდა ისლამს და სკოლაში დაშვებული ფორმა მუსლიმი მოსწავლეებისთვის შალვარ კამეეზის სახით შემუშავებული იქნა ადგილობრივ მუსლიმ თემთან და სამ მუსლიმ სასულიერო პირთან ფართო კონსულტაციის საფუძველზე. ამის საფუძველზე, მოსამართლეებმა დაასკვნეს რომ სკოლის გადაწყვეტილება ტოლერანტული და სამართლიანი იყო და არ არღვევდა კონვენციის მე-9 მუხლს.<sup>52</sup>

### 2.3. გერმანია

გერმანიაში, კერძო დასაქმების სფეროში რელიგიურ სამოსზე რაიმე ზოგადი აკრძალვა არ არსებობს. თანასწორი მოპყრობის შესახებ კანონი აღიარებს დასაქმებულთა უფლებას არ დაექვემდებარონ დისკრიმინაციას სქესის საფუძველზე.

---

<sup>51</sup> House of Lords , R (on the application of Begum) v. Headteacher and Governors of Denbigh High School (n 116) (England), 2006, იხ. <http://www.bailii.org/uk/cases/UKHL/2006/15.html>

<sup>52</sup> Gareth Davies, House of Lords and Religious Clothing in Begum v. Head Teacher and Governors of Denbigh High School, The, 13 Eur. Pub. L. 423 (2007).

გერმანიის ფედერალური შრომის სასამართლოს თანახმად, თანამშრომლის მიერ ჰიჯაბის ტარება არ შეიძლება გახდეს სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი. აქედან გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც დამსაქმებელი რელიგიური თემია და საქმე ეხება ჰიჯაბის ტარებას არა-მუსლიმური რელიგიური ორგანიზაციისთვის მუშაობის პროცესში. ასეთ შემთხვევაში დამსაქმებელს უფლება აქვს მოთხოვოს დასაქმებულს დაიცვას ნეიტრალიტეტის ვალდებულება და თავსაბურავის შეზღუდვა გამართლებულია.<sup>53</sup>

2017 წლიდან მოქმედებს ფედერალური კანონი, რომელიც საჯარო მოსამსახურეებს, მოსამართლეებს და სამხედრო პირებს უკრძალავს სახის დაფარვას სამსახურში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საჭიროა ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე. 2021 წლის ივნისში დამატებითი შეზღუდვები იქნა მიღებული საჯარო მოსამსახურეების ჩაცმულობასთან დაკავშირებით. კანონი ლანდების ხელისუფლების ორგანოებს აძლევს უფლებას აკრძალონ კონკრეტული ჩაცმულობა (მათ შორის ისლამური თავსაბურავები, ებრაული იარმულკა და სიქების ტურბანი), სიმბოლოები, სამკაულები და ტატუები, ისევე როგორც თმისა და წვერის კონკრეტული ვარცხნილობა, თუ ეს ხელს უშლია “პატივისცემისა და სანდო ქცევის” ვალდებულების შესრულებას.

.სტაჟიორებიც კი ვალდებულნი არიან თავი შეიკავონ რელიგიური სამოსის ტარებისგან, სასამართლოში მათი ოფიციალური ფუნქციების შესრულების პროცესში, რათა დაცული იყოს სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი და სხვათა უფლებები. ნეიტრალიტეტის ვალდებულება არ ვრცელდება კერძო პირებზე, რომლებიც სასამართლო დარბაზში იმყოფებიან.<sup>54</sup> 2020 წლის თებერვლის გადაწყვეტილებით ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციურად მიიჩნია სასამართლოს სტაჟიორებისთვის დაწესებული აკრძალვა, რელიგიური ნეიტრალიტეტის სახელით.<sup>55</sup>

აგრეთვე არ იკრძალება რელიგიური სამოსის ტარება გერმანიის საჯარო სკოლებში, თუმცა ამ მხრივ კერძო სკოლებს გააჩნიათ დისკრეცია. 2003 წელს გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მასწავლებლისთვის ჰიჯაბის ტარების აკრძალვა კონსტიტუციასთან შეუსაბამო იყო, რადგან ამას არ ითვალისწინებდა შესაბამისი მიწის (ფედერალური ერთეული) კანონმდებლობა. ამ

---

<sup>53</sup> იხ. ზემოთ სქოლიო 25, გვ. 16

<sup>54</sup> იქვე, გვ. 17

<sup>55</sup> M. H'madoun, H. Bui, Restrictions on Muslim Women's Dress in the 27 EU Member States and the United Kingdom, March 2022, Open Society Justice Initiative, გვ. 95.

გადაწყვეტილების შემდეგ ბევრმა მიწამ მიიღო კანონმდებლობა, რომლითაც მასწავლებლებს აკრძალათ თავსაბურავის ტარება საჯარო სკოლებში, სახელმწიფოს ნეიტრალიტეტიდან და სხვათა უფლებების დაცვიდან გამომდინარე. აცხადებდნენ, რომ თავსაბურავი გენდერული უთანასწორობის მესიჯს უგზავნიდა ბავშვებს სკოლაში.

2015 წელს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საჯარო სკოლებში მასწავლებლებისთვის თავსაბურავის ტარების ზოგადი აკრძალვა თუ ვერ დადასტურდებოდა სკოლაში რეალური საფრთხის არსებობა სახელმწიფო ნეიტრალიტეტისა და მშვიდი გარემოსთვის.<sup>56</sup>

საქმეში, რომელიც ეხებოდა ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის განათლების კანონით გათვალისწინებულ ზოგად აკრძალვას რელიგიური რწმენის ჩაცმულობით გამოხატვაზე, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა კონსტიტუციით დაცული რწმენის თავისუფლების გათვალისწინებით და ზოგადი შეზღუდვა არაკონსტიტუციურად ცნო. დამატებით, თანასწორობის უფლებასთან მიმართებით სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო აგრეთვე ამ კანონით დაშვებული გამონაკლისი, რომელიც ეხებოდა ქრისტიანული და დასავლური ღირებულებებისა და ტრადიციების გამოხატვას.

სასამართლომ პირველ რიგში აღნიშნა, რომ რელიგიური თავსაბურავი მუსლიმი ქალებისთვის უბრალოდ რეკომენდაცია არ არის; იმპერატიული რელიგიური მოვალეობაა ბევრი ისლამური ჯგუფისთვის. ამდენად თავსაბურავის აკრძალვა სერიოზული ჩარევაა რელიგიის თავისუფლებაში და შეიძლება აიძულოს მუსლიმი ქალები უარი თქვან მასწავლებლად მუშაობაზე, რაც ხელს შეუშლის ქალთა თანასწორობის მიღწევას პრაქტიკაში. ამასთან სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე:

“რელიგიური კონოტაციის შემცველი სამოსის ტარება თავისთავად არ წარმოადგენს მოსწავლის რწმენის ნეგატიურ თავისუფლებაში და აღმსარებლობის თავისუფლებაში ჩარევას... თუ მასწავლებელი ან საგანმანათლებლო პერსონალი სიტყვიერად არ ახდენს თავისი პოზიციის ან რწმენის დაცვას და არ ცდილობს მოსწავლეებზე გავლენის მოხდენას რაიმენაირად, ჩაცმულობის გარდა, მოსწავლეები ხედავენ მხოლოდ რწმენის თავისუფლების პოზიტიურ გამოყენებას საგანმანათლებლო პერსონალის მხრიდან, რაც ამასთან, შედარებითია და კომპენსირებულია

---

<sup>56</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 1 BvR 471/10, 1 BvR 1181/10, 27 იანვარი, 2015



პერსონალის სხვა წევრების ქცევით, რომლებიც შეიძლება სხვა რწმენას ან იდეოლოგიას მისდევდნენ. ამ მხრივ, რელიგიურად პლურალისტური საზოგადოება აირეკლება ინტერდენომინაციულ სკოლებში...

რელიგიური და იდეოლოგიური ნეიტრალიტეტი, რაც მოეთხოვებათ სახელმწიფოებს არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც დისტანცირების დამოკიდებულება სახელმწიფოსა და ეკლესიის მკაცრი გამიჯვნის გაგებით, არამედ როგორც ღია და ყოვლისმომცველი მიდგომა, რომელიც ახალისებს რწმენის თავისუფლებას ყველასთვის თანაბრად. ეს თანაბრად ეხება სკოლებს, რომელზეც სახელმწიფოს აქვს პასუხისმგებლობა. რელიგიური ან იდეოლოგიური კავშირი პერსონალის ცალკეული წევრისა არ გამოირიცხება სახელმწიფოს ნეიტრალიტეტით რელიგიურ ან იდეოლოგიურ საკითხებზე.

ჩაცმულობით რელიგიური რწმენის გამოხატვის მკაცრი აკრძალვა, რაც მთელ ფედერალურ მიწაზე მოქმედებს და რომლისთვისაც სკოლაში წესრიგისთვის ან სახელმწიფო ნეიტრალიტეტისთვის აბსტრაქტული საფრთხე საკმარისია, ვერ ჩაითვლება ასეთ შემთხვევაში ფუნდამენტური თავისუფლების გონივრულ შეზღუდვად. აკრძალვა არაგონივრულად ზღუდავს რწმენის თავისუფლებას. თუ საგანმანათლებლო პერსონალის წევრი ატარებს თავსაბურავს, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო იდენტიფიცირდება კონკრეტულ რწმენასთან - ეს საკმაოდ განსხვავდება საკლასო ოთახებში ჯვარცმის განთავსებისგან, რაც სახელმწიფო ორგანოებმა გააკეთეს.”<sup>57</sup>

ბოლოს, სასამართლომ დააკონკრეტა საფრთხის საკითხიც: “განსხვავებულია სიტუაცია, თუ საგანმანათლებლო პერსონალის ჩაცმულობა წარმოადგენს საკმარისად კონკრეტულ საფრთხეს ან ხელის შემშლელია სკოლაში მშვიდობის ან სახელმწიფო ნეიტრალიტეტისთვის ან წვლილი შეაქვს ამგვარი საფრთხის ან ხელშემშლის შექმნაში. ამ შემთხვევაში გონივრული იქნება მოლოდინი, რომ საგანმანათლებლო პერსონალმა თავი შეიკავოს თავის დაფარვის წესის შესრულებისგან, რასაც იმპერატიულად მიიჩნევს. ამის გარდა, გარკვეული დროის განმავლობაში, უფრო ზოგადი სახით, შეიძლება არსებობდეს სხვა რელევანტური სამართლებრივი ინტერესები რელიგიური რწმენის ჩაცმულობით ან ქცევით გამოხატვის ასაკრძალად; მაგალითად, თუ კონკრეტულ სკოლაში ან სასკოლო უბნებში ადეკვატურ რელიგიურ ქცევასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი კონფლიქტური სიტუაცია არსებობს, რაც დასტურდება იმით, რომ მნიშვნელოვანი ოდენობის საქმეში დადგინდება სკოლაში

---

<sup>57</sup> პრეს-რელიზი ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია: <https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Pressemitteilungen/EN/2015/bvg15-014.html>

მშვიდობის ან სახელმწიფო ნეიტრალიტეტისთვის საკმარისად კონკრეტული საფრთხის არსებობა. ამ შემთხვევაშიც, პირველ რიგში უნდა შეფასდეს ხომ არ იქნება შესაძლებელი ასეთი პირის სხვა საგანმანათლებლო გარემოში გადაყვანა.”<sup>58</sup>

ამდენად ეს არის ყოველ კონკრეტულ საქმეში გადასაწყვეტი საკითხი. გადაწყვეტილების მიუხედავად, აღნიშნავენ, რომ პრაქტიკაში მუსლიმ ქალებს მაინც ექმნებათ პრობლემები მასწავლებლად დასაქმებისას. ამასთან, ცალკეული სასამართლოები ავრცელებენ ნეიტრალიტეტის პრინციპს მასწავლებლებზე, ისევე როგორც საჯარო მოხელეებზე. გერმანიაში მუსლიმ გოგონებს აქვთ ბურკინებით (საცურაო კოსტუმი, რომელიც ფარავს მთელ სხეულს, ხელების, ტერფებისა და სახის გარდა) ცურვის გაკვეთილებზე დასწრების შესაძლებლობა.

## 2.4. ბელგია

ბელგიაში რელიგიურ სამოსთან დაკავშირებული საკანონმდებლო აკრძალვა არ მოქმედებს კერძო დამსაქმებელთან მიმართებით, თუმცა ზოგი დამსაქმებელი სარგებლობს უფლებით აღიაროს და გამოიყენოს საჯარო სექტორისთვის დამახასიათებელი ნეიტრალიტეტის პრინციპი ამ მიმართულებით ფართო შეზღუდვების დასაწესებლად.

2012 წელს სტუდენტმა ქალმა სამინისტროსთან კონტრაქტი გააფორმა და ის გააფრთხილეს, რომ კონტრაქტის არსებობა მას სამსახურში თავსაბურავის ტარების უფლებას არ აძლევდა. შრომის სასამართლომ დაადგინა, რომ ბელგიის კონსტიტუციური სამართალი ზოგადად არ აღიარებდა სეკულარიზმის პრინციპს, მაგრამ იცნობდა საჯარო სფეროში ნეიტრალიტეტის პრინციპს.<sup>59</sup> ბელგიის კონსტიტუცია პირდაპირ აპელირებს ნეიტრალიტეტის პრინციპზე განათლებასთან მიმართებით. რამდენიმე დავაში ნეიტრალიტეტის დაცვას მიენიჭა უპირატესობა დისკრიმინაციის აკრძალვასთან და რწმენის თავისუფლებასთან მიმართებით, რომლებიც აგრეთვე დაცულია კონსტიტუციის მე-11 და მე-19 მუხლებით.

წესები, რომლებიც რელიგიურ სამოსთან დაკავშირებით მოქმედებს კერძო და საჯარო სკოლებში განსხვავდება ბელგიის ფედერალური შტატების, რეგიონებისა და თემების მიხედვით და ამ საკითხზე ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომებია გავრცელებული.

---

<sup>58</sup> იხ.

<https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Pressemitteilungen/EN/2015/bvg15-014.html>

<sup>59</sup> იქვე, გვ. 17

მაგალითად, 2013 წლიდან ბელგიის ფლამანდიელი თემი ზოგადად კრძალავს სკოლებში თავსაბურავს. ეს აკრძალვა გასაჩივრებული იქნა მასმეხელენის მუნიციპალიტეტის ორ სკოლაში რამდენიმე სტუდენტის მიერ და სასამართლოებმა გააუქმეს აკრძალვა, თუმცა მის იურისდიქციას სცდებოდა ზოგადი აკრძალვის გაუქმება. ამ გადაწყვეტილების გამო გენტის განათლების მრჩეველმა განაცხადა, რომ გენტის საჯარო სკოლებში დაუშვებდნენ თავსაბურავის ტარებას. მეორე მხრივ ბელგიის თანასწორი შესაძლებლობების სახელმწიფო მდივანმა განაცხადა რომ სკოლებში არ უნდა იყოს დაშვებული თავსაბურავი. 2019 წელს ლუვენის სასამართლომაც გააუქმა თავსაბურავის აკრძალვა სკოლაში, მიუხედავად ზოგადი აკრძალვის არსებობისა.<sup>60</sup>

2011 წელს ბელგიამ მიიღო ფედერალური კანონმდებლობა, რომლითაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დადგინდა სახის დაფარვისთვის საჯარო სივრცეში. ეს კანონი ითვალისწინებს ჯარიმას 15-დან 25 ევრომდე და/ან 1-დან 7 დღემდე პატიმრობას იმ პირებისთვის, რომლებიც ფარავენ სახეს და შესაბამისად მათი იდენტიფიცირება შეუძლებელია. აღნიშნული კანონმდებლობა გაასაჩივრეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, თუმცა, საფრანგეთის მსგავსად ამ შემთხვევაშიც, სასამართლომ კონვენციასთან შესაბამისად ცნო აკრძალვები როგორც მუნიციპალიტეტების დონეზე, ისე ეროვნულ კანონმდებლობაში.<sup>61</sup> რამდენიმე საჯარო აუზზე აიკრძალა ბურკინების ტარება. ორი ასეთი აკრძალვა გენტში და მერელბეკეს მუნიციპალიტეტში სასამართლოებმა დისკრიმინაციულად ცნეს და განაცხადეს, რომ ისინი ვერ იქნებოდა გამართლებული უსაფრთხოების ან ჰიგიენის არგუმენტებით. გენტის შემთხვევაში, საქმე ეხებოდა მთელი სხეულის დამფარავ საბანაო კოსტუმებს და სასამართლომ დაადგინა მუსლიმი ქალების წინააღმდეგ მიმართული არაპირდაპირი დისკრიმინაცია. მერელბეკეს მუნიციპალიტეტში აკრძალული იყო კონკრეტულად ბურკინი და შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა პირდაპირი დისკრიმინაცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაწყვეტილებები ორივე შემთხვევაში გასაჩივრდა, შეზღუდვა მოიხსნა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებისთანავე.<sup>62</sup>

---

<sup>60</sup> იქვე, გვ. 18

<sup>61</sup> იხ. ზემოთ სქოლიო 15, გვ. 36

<sup>62</sup> იხ. ზემოთ სქოლიო 25, გვ. 20

## 2.5. ნიდერლანდები

ნიდერლანდებში სახის დამფარავი სამოსის აკრძალვის შესახებ კანონი სენატმა მიიღო 2018 წლის 26 მაისს და კანონმდებლობა ძალაში შევიდა 2019 წლის 1 აგვისტოს. კანონმდებლობა ვრცელდება განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, სახელმწიფო დაწესებულებებზე და საჯარო ტრანსპორტზე, თუმცა ის არ მოიცავს ქუჩებს. განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში ეს კანონმდებლობა ასევე მოიცავს კერძო დაწესებულებებსაც. ჩაცმულობის მხრივ, აქ ხდება თავისა და სახის სრულად დამფარავი ნაქსოვი შლემი, მთლიანი ჩაფხუტი და ნიქაბი (სამოსი, რომელიც ფარავს სხეულს თავიდან ფეხებამდე, თუმცა ღიად ტოვებს თვალებს). კანონის პრაქტიკული აღსრულება ძალიან რთული აღმოჩნდა.<sup>63</sup>

აღსანიშნავია, რომ ამ კანონმდებლობის მიღებამდე ქვედა დონეზე მოქმედებდა საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც ზღუდავდა რელიგიური სამოსის ტარებას, განსაკუთრებით ეს ეხებოდა პოლიციისა და სასამართლო ხელისუფლების თანამშრომლებს. მხარეებს აქვთ უფლება თავსაბურავით იარონ სასამართლოში ან საჯაროდ, მაგრამ ეს გამორიცხავს სახის სრულად დამფარავი ქალის დასაქმებას საჯარო უფლებამოსილების განსახორციელებლად ასეთ დაწესებულებებში.<sup>64</sup>

ზოგადად ჩაცმულობის შეზღუდვებზე მსჯელობისას მაშინდელი თანასწორი მოპყრობის კომისია (ამჟამად ნიდერლანდების ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი) ადგენდა, რომ სამუშაოს ადგილი და როლი არის განმსაზღვრელი. პოლიციელის ფორმა, რომელიც არ იძლევა ჰიჯაბის ტარების უფლებას ისეთი ფუნქციების შესრულებისას, რაც არ მოდის შემხებლობაში საზოგადოებასთან, ჩაითვალა არაპირდაპირ დისკრიმინაციად რელიგიის საფუძველზე. კომისიამ ჩათვალა, რომ სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი ვერ იქნებოდა ობიექტური გამართლება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება არასაჯარო ამოცანების შესრულებას. 2017 წელს ნიდერლანდების ადამიანის უფლებათა ინსტიტუტმა პოლიციის ფორმასთან ერთად თავსაბურავის ტარებაზე ზოგადი აკრძალვა არაპირდაპირ დისკრიმინაციად ჩათვალა რელიგიის საფუძველზე.<sup>65</sup>

ნიდერლანდებში ისეთი არგუმენტები, როგორცაა კორპორაციული იმიჯი არ მიიღება ჩაცმულობის იმგვარი რეგულირების გასამართლებლად რომელიც დაკავშირებულია რელიგიური სამოსის და სიმბოლოების აკრძალვასთან. 2004 წელს

---

<sup>63</sup> იხ. იქვე გვ. 21

<sup>64</sup> იხ. იქვე გვ. 17

<sup>65</sup> იხ. იქვე გვ. 17

მაგალითად, არნჰემის სასამართლომ დაადგინა, რომ მაკდონალდსს შეეძლო იმგვარად ჩამოეყალიბებინა ჩაცმულობასთან დაკავშირებული რეგულაციები, რომ ჰიჯაბი შეეტანა კორპორაციულ ფორმაში, მისი აკრძალვის ნაცვლად.<sup>66</sup>

## 2.6. ესტონეთი

ესტონეთი ერთ-ერთია იმ 12 ევროკავშირის წევრი ქვეყნიდან, სადაც ეროვნულ დონეზე არ მოქმედებს რაიმე აკრძალვა საჯარო სივრცეში რელიგიურ სამოსთან, ან სახის დაფარვასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში, მემარჯვენე პოლიტიკის გამლიერებასთან და ისლამოფობიისა და ქსენოფობიის ზრდასთან ერთად ამ მიმართულებით რამდენჯერმე იქნა ინიცირებული კანონპროექტი, რომელიც თავსაზურავისა და სახის დაფარვის წინააღმდეგ იყო მიმართული. რელიგიური სამოსის ან სიმბოლოების ტარებასთან დაკავშირებით რაიმე შეზღუდვა არ მოქმედებს არც კერძო სივრცეში, არც ესტონეთის რომელიმე რეგიონში.

2017 წელს ესტონეთის კონსერვატიულმა სახალხო პარტიამ ესტონეთის პარლამენტში წარადგინა და შემდეგ გამოიხმო კანონპროექტი ბურკასა და ნიქაბის აკრძალვასთან დაკავშირებით. წარმოდგენილ კანონპროექტში ესტონეთის ტრადიციებთან და ღირებულებებებთან შეუთავსებლობა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები სახელდებოდა ამ აკრძალვის გამართლებად. ამ კანონპროექტის თანახმად, აკრძალვა უკავშირდებოდა “არაბულ კულტურას” და კანონპროექტი უკან იქნა გათხოვილი, რადგან პარლამენტის წევრებმა მიიჩნიეს, რომ საჭირო იყო მისი რედაქტირება, რათა ზოგადად, ყველანაირი სახის დაფარვა ყოფილიყო აკრძალული. იუსტიციის მინისტრს დაევალა ერთ თვეში წარმოედგინა რედაქტირებული კანონპროექტი, თუმცა 2021 წლის მდგომარეობით ასეთი რამ არ მომხდარა.

იქამდე მუსლიმი ემიგრანტების ზრდასთან ერთდ ესტონეთში, 2015 წელს მიმართა პარლამენტს ესტონეთის სოციალური უსაფრთხოების მინისტრმა მარგუს წახნამ (კონსერვატიული Pro Patria და Res Publica Union პარტიების ალიანსიდან) ბურკას აკრძალვის საკანონმდებლო წინადადებით. მალევე ამას დაემატა იუსტიციის მინისტრის მიერ ინიცირებული კანონპროექტი, რომელიც ქალებს საჯარო ადგილებში, მათ შორის სახელმწიფო, საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებებში უკრძალავდა ჰიჯაბისა და ნიქაბის ტარებას. ამ კანონპროექტების

---

<sup>66</sup> იხ. იქვე გვ. 16

გამართლებადაც უსაფრთხოების ინტერესები მიეთითებოდა - ამტკიცებდნენ, რომ სახის დაფარვა საჯარო სივრცეში უსაფრთხოების რისკებს წარმოშობდა. კანონპროექტს შეეწინააღმდეგა საგარეო საქმეთა მინისტრი. აგრეთვე, მოყვა საზოგადოების და ესტონეთის მუსლიმების აღშფოთება. აღშფოთების ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ეს აკრძალვა ძვირი დაჯდება, მაშინ როცა ბურჯის მატარებელი ქალი ძალიან ცოტა იყო ქვეყანაში. შესაბამისად, ამ კანონპროექტზე მუშაობაც არ გაგრძელებულა.

რამდენადაც რელიგიური სამოსის საკითხს რაიმე კონკრეტული საკანონმდებლო დებულება არ ეხება, ეს საკითხი ხვდება კონსტიტუციის რელიგიის თავისუფლებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის დაცვის სფეროში. დამატებით, მოქმედებს 2009 წლის თანასწორი მოპყრობის აქტი რომელიც კონსტიტუციურ პრინციპებს განამტკიცებს საკანონმდებლო დონეზე, განსაკუთრებით დასაქმების სფეროში. კანონი კრძალავს რელიგიის საფუძველზე დისკრიმინაციას დასაქმებისთვის, პროფესიული ან სხვა განათლებაზე წვდომისთვის პირობების დაწესებით. კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელია თანასწორი მოპყრობისა და გენდერული თანასწორობის კომისრის სამსახური და სასამართლოები.

## 2.7. საბერძნეთი

საბერძნეთი ერთ-ერთია ევროკავშირის წევრი იმ ხუთი ქვეყნიდან, სადაც არა მხოლოდ აკრძალვა არ მოქმედებს რელიგიური სამოსის, მათ შორის სახის დამფარავ სამოსთან დაკავშირებით, არამედ ამგვარი საკანონმდებლო წინადადებითაც კი არავის მიუმართავს პარლამენტისთვის. ამის მიუხედავად, ევროპაში ლტოლვილთა კრიზისთან და ისტორიულად არსებულ ანტი-თურქულ განწყობებთან ერთად ისლამური თავსაბურავის აკრძალვასთან დაკავშირებით დებატები გახშირდა ბოლო წლებში, თუმცა მას ჯერაც არ მიუღწევია სახელმწიფო დაწესებულებებამდე.<sup>67</sup>

საკანონმდებლო დონეზე არ არსებობს რაიმე ეროვნული ან ლოკალური შეზღუდვა თავსაბურავის, სახის დაფარვის ან რაიმე ტიპის რელიგიურ სამოსთან დაკავშირებით. ამასთან საბერძნეთის კონსტიტუცია არა მარტო კრძალავს რელიგიის საფუძველზე დისკრიმინაციას, არამედ მიუთითებს 25-ე მუხლში, რომ კონსტიტუციური უფლებები შემოჭავია კერძო დამსაქმებლებისთვისაც და მათაც უნდა სცენ პატივი თანასწორობის უფლებას, მათ შორის რელიგიის საფუძველზე დისკრიმინაციის

<sup>67</sup> M. H'madoun, H. Bui, იხ. სქოლიო 56, გვ. 100-101

აკრძალვას. მეორე მხრივ, კანონმდებლობა, მათ შორის თანასწორი მოპყრობის შესახებ 4443/2016 კანონი არ ითვალისწინებს გონივრული მისადაგების ვალდებულებას რელიგიის საფუძველზე.<sup>68</sup> დამატებით, არ არსებობს რაიმე კანონმდებლობა ან კოლექტიური შეთანხმებები, რაც დაიცავდა დასაქმებულებს ისეთი დისკრიმინაციისგან, რაც უკავშირდება რელიგიური სიმბოლოების ტარებას ან რელიგიურ უქმეებზე დასვენებას. ამის გამო 2015 წელს სამოქალაქო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები დამსაქმებელთა ორგანიზაციების წასახალისებლად, რომ ასეთი გარანტიები შეიტანონ კოლექტიურ შეთანხმებებში. ამ ინიციატივებზე მუშაობა ჯერაც გრძელდება და ფართო-მასშტაბიანი ტრენინგები და ცნობიერების ამაღლების კამპანიები იგეგმება დასაქმების ადგილზე მეტი თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

აღსანიშნავია, რომ რელიგიური სამოსის აკრძალვასთან დაკავშირებით რაიმე კანონმდებლობის ან პოლიტიკის არარსებობის მიუხედავად, არსებობს ინფორმაცია, რომ პეტრუ რალის (Petrou Ralli) მიგრანტების დაკავების ცენტრში დაკავებულებს აიძულებდნენ თავსაბურავის მოხსნას. 2019 წელს დაკავებულებმა აცნობეს დამკვირვებლებს, რომ ცენტრში შესვლისას მათ აუკრძალეს თავსაბურავის ტარება და უთხრეს, რომ ცენტრის გარეთ შეეძლოთ ყოფილიყვნენ მუსლიმები, მაგრამ ცენტრში ქრისტიანები იყვნენ.<sup>69</sup> თუმცა, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, დღემდე საბერძნეთში რაიმე კანონმდებლობა არ მიუღიათ, რომელიც მსგავს აკრძალვას დააწესებდა.

## 2.8. პოლონეთი

საბერძნეთის მსგავსად პოლონეთიც იმ ქვეყნებს განეკუთვნება, სადაც რელიგიურ სამოსთან დაკავშირებით რაიმე შეზღუდვა არც ეროვნულ და არც რეგიონულ დონეზე არ მოქმედებს და ამასთან დაკავშირებით რაიმე საკანონმდებლო წინადადებაც არ განხილულა.<sup>70</sup> ამის მიუხედავად, ისლამური თავსაბურავის აკრძალვა კონსერვატორი პოლიტიკოსების ანტი-მუსლიმური რიტორიკის ნაწილია და თავსაბურავის მატარებელი ქალებიც მნიშვნელოვან დისკრიმინაციას აწყდებიან დასაქმების სფეროში, თუმცადა, პოლონეთის შრომის კოდექსი კრძალავს რელიგიის საფუძველზე პირდაპირ ან ირიბ დისკრიმინაციას. 2022 წლის ანგარიშში დისკრიმინაციის

---

A. <sup>68</sup>Theodoridis, Greece: Country Report Non-Disrimination, 1 January 2021 - 31 December, 2021, გვ. 28

<sup>69</sup> M. H'madoun, H. Bui, იბ. სქოლიო 56, გვ. 101

<sup>70</sup> იქვე, გვ. 131

აკრძალვის შესახებ მოცემულია რელიგიურ სიმბოლიკასთან დაკავშირებული შემთხვევა,<sup>71</sup> რომელიც ინდივიდის მიერ რელიგიის მანიფესტაციისთვის სიმბოლოს ტარებას არ ეხება, თუმცა დისკრიმინაციის მაგალითია. მუსლიმ სკოლის მასწავლებელს, რომელიც ერთი წელი კვლევით შვებულებაში იმყოფებოდა, უკან დაბრუნებისას მასწავლებელთა საერთო ოთახში ჯვარცმა დახვდა, რომელიც რელიგიის მასწავლებელი მღვდლის ინიციატივით დაკიდეს. მუსლიმმა მასწავლებელმა ეს ჯვარცმა ორჯერ ჩამოხსნა კედლიდან სკოლაში დაბრუნების შემდეგ. ეს შემთხვევა განიხილა სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ, სადაც მასწავლებლები მის ქმედებას აფასებდნენ, როგორც “სკანდალს”, იყენებდნენ ფრაზებს “როგორ გაბედა ჯვრის ჩამოხსნა”, “ვიცით ვინ ჩამოხსნა ჯვარი”. შეხვედრაზე მყოფმა რამდენიმე სხვა მასწავლებელმა ატმოსფერო შეადარა დაშინებას და ლინჩის წესით გასამართლებას. სკოლამ გადაწყვიტა, რომ საყვედური გამოეცხადებინა ამის გამო მუსლიმი მასწავლებლისთვის, მაგრამ მან საჩივარი დაწერა და სკოლამ ეს სანქცია მოუხსნა. თუმცა, 44-მა მასწავლებელმა შეიმუშავა წერილობითი განცხადება შემდეგი ტექსტით: “მასწავლებელმა თვითნებურად და უკანონოდ ორჯერ ჩამოხსნა ჯვარი (რომელიც კედელზე ეკიდა მასწავლებელთა უდიდესი უმრავლესობის ნების თანახმად). ამასთან გ.ჯ. სამარცხვინოდ და განგებ არღვევს სკოლის მასწავლებელთა ქცევის წესებს. იქცევა რა, როგორც მსხვერპლი, რომელიც დაზარალდა ამ სიტუაციაში, მისი ქცევა უნდა შეფასდეს მანიპულაციად. ამ მასწავლებლის ქცევა ლახავს სკოლის იმიჯს”. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ქონდა დისკრიმინაციულ შევიწროებას და გ.ჯ.-ს ღირსების შელახვას სხვა მასწავლებლების და დირექტორის მხრიდან, შეუქმნეს რა მას დამამცირებელი, გამრიყავი, დამაშინებელი და მტრული ატმოსფერო. ზიანის ანაზღაურებისთვის სკოლას დაეკისრა 5,000 ზლოტის გადახდა და ოფიციალური ბოდიშის მოხდა გ.ჯ.-ს წინააღმდეგ ჩადენილი დისკრიმინაციული ქმედების გამო. მეორე მხარემ გააგრძელა ამის გამო ჩივილი, მაგრამ უზენაესმა სასამართლომაც დაადასტურა რომ სკოლის ადმინისტრაციამ და მასწავლებლებმა ჩაიდინეს დისკრიმინაცია, შევიწროების ფორმით, რაც განხორციელდა მისი რწმენის გამო. ამდენად, მათი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

## 2.9. დასკვნა

ევროკავშირის წევრი რამდენიმე სახელმწიფოს კანონმდებლობის ანალიზი აჩვენებს

---

<sup>71</sup> L. Bojarski, Poland: [Country Report Non-discrimination](#), 2022, გვ. 31



ერთი შეხედვით პარადოქსულ მოვლენას: სახელმწიფოები, სადაც სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნის მკაცრი სტანდარტი მოქმედებს, უფრო მკაცრად არეგულირებენ რელიგიურ ჩაცმულობას საჯარო სივრცეში, საჯარო სამსახურში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ვიდრე ის ქვეყნები, სადაც სახელმწიფო და რომელიმე კონკრეტული რელიგია შეიძლება უფრო მტკიცედ ურთიერთგადაჯაჭვული იყოს (მაგ. საბერძნეთი და მართლმადიდებლური ეკლესია ან პოლონეთი და კათოლიკე ეკლესია). ამის ერთი, სპეკულაციური ახსნა, რომელიც ნაწილობრივ შეიძლება საქართველოსაც ეხებოდეს, ისაა, რომ რელიგიური სამოსის კონტროლის შემთხვევაში თანასწორობის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეიძლება საჭირო გახდეს დომინანტური რელიგიის ხილვადობის კონტროლიც საჯარო სივრცეში. რამდენადაც სავარაუდოა, რომ ეს მიუღებელი იქნებოდა მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის, სხვა შეზღუდვებისგანაც იკავებენ თავს. მეორე მხრივ, ის ქვეყნები, სადაც ამჟამად რელიგიური სამოსის რეგულირების მხრივ ყველაზე ცუდი სიტუაციაა, როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში, როგორც წესი არგუმენტს სეკულარობასა და ნეიტრალიტეტზე აგებენ, რაც იმის მაგალითია, რომ რელიგიური უმცირესობების დასაცავად შექმნილი ნეიტრალიტეტის იდეა მათ წინააღმდეგ გამოიყენება.

ამ მოვლენის მეორე მხარე არის ის, რომ რელიგიური სამოსის რეგულირების საკითხი უფრო მეტად მიგრანტთა კრიზისის ფონზე ეროვნული იდენტობის ძიებისა და ქსენოფობიის ზრდის დისკურსს განეკუთვნება, ვიდრე მკაცრად სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნას.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს ეროვნული და რეგიონული/საერთაშორისო სასამართლოების როლი. უმრავლესობების შიშებზე დაყრდნობით მიღებული კანონმდებლობის პირობებშიც, სასამართლოები ან კვაზისასამართლო ორგანოები (საფრანგეთის სახელმწიფო საბჭო, საკასაციო სასამართლო, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, ნიდერლანდების თანასწორი მოპყრობის კომისია) ახერხებენ კანონმდებლობა, კონსტიტუცია ან ევროკავშირის კანონმდებლობა განმარტონ ისე, რომ ცალკეულ სფეროებში რელიგიური სამოსის ტარებას არ ჰქონდეს თვითნებური ხასიათი; ხოლო პროპორციულობის და საჭიროების გარკვეული მოთხოვნების დაცვას უზრუნველყოფენ რელიგიის თავისუფლების ჩაცმულობით გამოხატვის შეზღუდვისას, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სასამართლოების როლს ამ უფლების დაცვის საქმეში.

### 3. რელიგიურ სიმბოლოებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას, მათ შორის, რელიგიის საფუძველზე, 26-ე მუხლი კი იცავს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას. დამატებით, საქართველოს კანონი “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” კრძალავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში. ამ კვლევის მიზნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს შრომის კოდექსი ცალსახად კრძალავს დისკრიმინაციას წინასახელშეკრულებო და შრომით ურთიერთობაში, მათ შორის რელიგიურ დისკრიმინაციას. თუმცა, დაცვის სისუსტის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლის გონივრული მისადაგების ვალდებულება (მე-9 მუხლი) ვრცელდება მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე და არ ვრცელდება სხვა ტიპის საჭიროებებზე, რაც პირობითად შეიძლება გამომდინარეობდეს რელიგიის მანიფესტაციის სხვადასხვა ფორმიდან.

აქვე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონმდებლობა არც ზოგად და არც დარგობრივ აკრძალავს არ შეიცავს რელიგიური სამოსის ტარებასთან დაკავშირებით საჯარო სივრცეში. საქართველოს კანონი “საჯარო სამსახურის შესახებ” არ ითვალისწინებს ამ მიმართულებით შეზღუდვას, თუმცა საქართველოს მთავრობის #200 დადგენილება “საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ”<sup>72</sup>, კერძოდ მე-7 მუხლის (რელიგიური ნეიტრალიტეტი) მე-2 პუნქტი ორჯეროვან რეგულირებას შეიცავს: “... სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში, სხვა საჯარო მოსამსახურეებთან, თანამშრომლებსა/ კოლეგებსა და მოქალაქეებთან ურთიერთობისას, პირდაპირი საჭიროების არარსებობის შემთხვევაში, თავს იკავებს რელიგიური შინაარსის საჯარო განცხადებებისგან და არ ახდენს საკუთარი რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების მიზანშეუწონელ დემონსტრირებას.” რელიგიური სიმბოლოს ან სამოსის ტარება ცალსახად რელიგიური პრაქტიკის დემონსტრირებაა და შესაბამისად, განმარტების საკმაოდ რთულ შემთხვევას წარმოშობს იმის გამიჯვნა, რომელია “მიზანშეუწონელი” ან “მიზანშეუწონილი” პრაქტიკა. ამ აქტთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს

<sup>72</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება №200 “საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ”, 2017 წლის 20 აპრილი

საძიებო სისტემაში მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება იძებნება და ისიც გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, რთული სათქმელია, ეს დებულება იმოქმედებს ისე, რომ სამოსით რელიგიური მანიფესტაცია სრულად გამორიცხოს, თუ კონკრეტული ნეგატიური შედეგებისგან დაიცავს მოქალაქეებს, როგორცაა პროზელიტიზმის ეფექტი ან სახელმწიფო ნეიტრალიტეტის იმიჯის შელახვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული საჯარო მოსამსახურეებისთვის (მაგ. პოლიციელებისთვის) უწყებრივი აქტებით დადგენილია ჩაცმულობის ფორმა, რაც სავარაუდოდ, გონივრული მისადაგების მკაცრი ვალდებულების არარსებობის პირობებში, ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი პირების შესაძლებლობას რელიგიური სამოსის ცალკეული ატრიბუტები ატარონ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

ამ საკანონმდებლო ჩარჩოს პირობებში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს არ აქვს რაიმე ზოგადი აკრძალვა რელიგიურ სამოსთან ან მის კონკრეტულ ფორმებთან დაკავშირებით (როგორცაა მაგალითად სახის დაფარვა), თუმცა საჯარო მოსამსახურეების მიმართ მოქმედებს რელიგიის დემონსტრირების (მათ შორის სამოსით ან სიმბოლოებით) აკრძალვა, რომელიც არ არის აბსოლუტური (მხოლოდ “მიზანშეუწონელი დემონსტრირება” იკრძალება), მაგრამ არის ბუნდოვანი, რამაც პრაქტიკაში შეიძლება უთანასწორობის ბევრი შემთხვევა შექმნას. დამატებით, როცა ქვეყანაში არსებობს დომინანტი რელიგიური ორგანიზაცია და მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ რელიგიის მიმდევრად აიდენტიფიცირებს თავს, მნიშვნელოვანია რომ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების დასაცავად მათ შორის, კერძო ურთიერთობებში და შრომის ბაზარზე, კანონმდებლობა უფრო შორს მიდიოდეს ვიდრე აკრძალვების დაწესებისგან თავის შეკავებაა და კონკრეტულ გარანტიებს ითვალისწინებდეს უმცირესობების რელიგიის გამოხატვასთან დაკავშირებული საჭიროებების მისადაგების უზრუნველსაყოფად.

სხვაგვარად, მკაფიო რეგულირების არარსებობა ან ბუნდოვანება პრაქტიკაში განიმარტება უმცირესობების რელიგიური უფლებების საზიანოდ და ამის ნათელი მაგალითია ინციდენტი სოფელი მოხეს საჯარო სკოლაში 2016-2017 წლებში. ბათუმის საჯარო სკოლიდან მაღალი კლასის მოსწავლეს სურდა სოფელი მოხეს სკოლაში მობილობა განეხორციელებინა, თუმცა სკოლის ადმინისტრაციამ გააფრთხილა, რომ მას არ ჩარიცხავდნენ თუ სკოლაში ტრადიციული ისლამური თავსაბურავით - ჰიჯაბით ივლიდა. სკოლამ თავისი მოთხოვნა დააფუძნა სკოლის შინაგანაწესს რომელიც, მათი განმარტებით კრძალავდა თავსაბურავით სიარულს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა გაამართლა ეს მიდგომა ერთი მხრივ იმის მტკიცებით, რომ ეს სკოლის გადასაწყვეტი

საკითხი იყო, მეორე მხრივ კი კონფლიქტების გაღვივების არგუმენტზე მითითებით, ვითომდა თავსაბურავით სკოლაში სიარული რელიგიური კონფლიქტების რისკს გამწვავებდა.

2017 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართ მეცნიერებისა და განათლების მინისტრს ზოგადი წინადადებით, სადაც განხილულია საჯარო სკოლებში მუსლიმი მოსწავლეების უფლებების შელახვის შემთხვევები. სახალხო დამცველმა არ გაიზიარა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნა, რომლის მიხედვითაც ჰიჯაბის ტარების აკრძალვა სკოლის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა და მისი მხრიდან რელიგიური ნეიტრალიტეტის, აგრეთვე სკოლაში ჩაცმის წესების დადგენასა და დაპირისპირების თავიდან აცილებას ემსახურებოდა. სახალხო დამცველმა აღნიშნა:

“ სახალხო დამცველი კვლავ მიუთითებს, რომ ქალის ტრადიციული ისლამური თავსაბურავი (ჰიჯაბი) წარმოადგენს ადამიანის რელიგიური იდენტობის გამომხატველ საკმაოდ მნიშვნელოვან სიმბოლოს, რომელიც დაცულია როგორც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ისე საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული რელიგიური თვითგამოხატვის თავისუფლებით და, შესაბამისად, დაუშვებელია მისი ტარების მართლზომიერების, მხოლოდ სასკოლო ჩაცმულობის წესის ან მოსწავლის გარეგნული იერ-სახის მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე შეფასება. ამდენად, ჰიჯაბის ტარების აკრძალვა, მოსწავლის ჩაცმულობის წესის დაცვის მოტივით, აშკარად წარმოადგენს განმცხადებლის რელიგიური თვითგამოხატვის კონსტიტუციურ თავისუფლებაში გადამეტებულ და არაპროპორციულ ჩარევას, რის გამოც, იგი, სამართლებრივი თვალსაზრისით, გაუმართლებელია.”

სახალხო დამცველის აღნიშნული დასკვნა, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სრულად დასაბუთებულია, თუმცა თავისთავად ეს ინციდენტი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ როდესაც რეალობა მკაფიოდ გადახრილია რომელიმე ერთი რელიგიის სასარგებლოდ, რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა ზოგადი კანონმდებლობისა და რელიგიის თავისუფლების გარანტიების საფუძველზე რთულდება და მნიშვნელოვანია კონკრეტული კანონმდებლობის არსებობა, რომელიც მკაფიოდ დაავალდებულებს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, გონივრული მისადაგება გამოიჩინონ რელიგიურ სამოსთან დაკავშირებული საჭიროებების განხილვისას.

## დასკვნა

ეს კვლევა ეხება რელიგიური სიმბოლოების და ჩაცმულობის ტარებას, როგორც რელიგიისა და რწმენის გამოხატვის უფლებას, მის ფარგლებს და შეზღუდვისთვის დადგენილ სტანდარტებს. ამ მიზნით კვლევაში განხილულია რამდენიმე

საერთაშორისო მექანიზმის - გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს რელევანტური პრაქტიკა და ევროპის რამდენიმე ქვეყნის შიდა კანონმდებლობა. აქ განხილულია რელიგიური ჩაცმულობის ტარების უფლება საჯარო სივრცეში, საჯარო და კერძო სამსახურში და სასწავლო დაწესებულებებში. ბოლოს, კვლევაში მიმოხილულია საქართველოს კანონმდებლობა და რელიგიური ჩაცმულობის ტარებასთან დაკავშირებული ინციდენტი, რომლის მართვის დროსაც სამართლიანი ბალანსი ნამდვილად არ იქნა მიღწეული ინდივიდისა და სავარაუდო ზოგად ინტერესს შორის (თუ ასეთი არსებობდა).

საქართველოს კანონმდებლობა არ არეგულირებს რელიგიური ჩაცმულობის საკითხს. ეს კარგია, რადგან რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სფეროში გაუმართლებელი ჩარევის საფრთხეს ამცირებს. თუმცა, მაინც არსებობს რისკი, რომ დამსაქმებლებმა ან საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დააწესონ თვითნებური შეზღუდვები. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული როლი ეროვნულ სასამართლოებს ენიჭებათ, რომლებსაც შეუძლიათ თითოეულ შემთხვევაში სამართლიანი ბალანსის დაცვა რელიგიური ჩაცმულობის ტარების უფლებასთან მიმართებით.

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ჯერ ამგვარი პრაქტიკის შესახებ ცნობილი არ არის და სასამართლოები ამ საკითხებზე მსჯელობის საჭიროების წინაშე სამომავლოდ შეიძლება აღმოჩნდნენ, კვლევაში განხილული იურისდიქციების მაგალითზე რამდენიმე გარემოების გათვალისწინება იქნება მნიშვნელოვანი:

- იმის გასარკვევად, კონკრეტული ჩაცმულობა ან სიმბოლო რელიგიური შინაარსის მატარებელია თუ არა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავად იმ პირის აზრს ამ საკითხზე, ვინც ატარებს შესაბამის სამოსს. თუმცა, სასამართლოს უფლება აქვს, სახელმწიფო ნეიტრალიტეტის ფარგლებში გამოიკვლიოს შესაბამისი რელიგიის მიდგომა ამ საკითხზე, იმის გამოსარკვევად რა ადგილი აქვს შესაბამისი სამოსის ტარების მოთხოვნას რელიგიაში. როგორც გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რაც უფრო იმპერატიულ მოთხოვნასთან გვაქვს საქმე, მით უფრო დიდი წონა უნდა მიენიჭოს მას ინტერესთა დაბალანსებისას.
- რელიგიური სამოსის ტარების უფლების შეზღუდვისას გადამწყვეტი არის პროპორციულობის ტესტი (ისევე როგორც სხვა მრავალი უფლების შემთხვევაში). ეს ნიშნავს, რომ შეზღუდვის ავტორს შეზღუდვის გასამართლებლად უნდა შეეძლოს ლეგიტიმური მიზნის იდენტიფიცირება,

და შეზღუდვა არამხოლოდ უნდა ემსახურებოდეს ამ მიზნის მიღწევას, არამედ მისი პროპორციულიც უნდა იყოს.

- ნეიტრალიტეტის პოლიტიკა ძალიან ხშირად სახელდება როგორც საჯარო, ისე კერძო ინსტიტუტების მიერ რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვის გამართლებად, თუმცა მნიშვნელოვანია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიდგომა, რომლის თანახმადაც, მხოლოდ ნეიტრალიტეტის პოლიტიკის ქონის სურვილი არ კმარა. მოითხოვება, რომ ნეიტრალიტეტი საჭირო იყოს საწარმოსთვის, მიზეზით რომ ამის გარეშე მას ზიანი მიადგება. დამატებით, ნეიტრალიტეტის პოლიტიკის არსებობის შემთხვევაში, მას უნდა ჰქონდეს ზოგადი და თანმიმდევრული ხასიათი და არ უშვებდეს ბუნდოვან გამონაკლისებს. ამასთან, ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს აღიარებული, განჭვრეტადი და კარგად დოკუმენტირებული პოლიტიკა და პირის სანქციონების შემდეგ არ უნდა ხდებოდეს იმის გამოცხადება, რომ ორგანიზაციას ნეიტრალიტეტის პოლიტიკა აქვს. ეს ვერ გაამართლებს შეზღუდვას.
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო რელიგიურ სამოსთან დაკავშირებულ საქმეებში სახელმწიფოებს ანიჭებს ფართო შეფასების თავისუფლებას ანუ დისკრეციას - ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ რელიგიური სამოსის ტარების საკითხი ძალიან კონტექსტუალურია და მნიშვნელოვანია კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინება.
- როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის საქმეების შედარებისას გამოჩნდა, ასეთ საქმეებში სასამართლოების მზაობა, ზედმიწევნით შეამოწმონ და გამოიკვლიონ სახელმწიფოს არგუმენტები, იდენტური საკითხების რადიკალურად განსხვავებულ გადაწყვეტებს იძლევა. ამიტომ, საჭიროა სასამართლოებმა უაპელაციოდ არ მიიღონ სახელმწიფოს/დამსაქმებლის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნები ან გამართლების სხვა არგუმენტები და ემპირიულ თუ სამართლებრივ მონაცემებზე დაყრდნობით გადაამოწმონ, რამდენად საჭირო იყო რელიგიური სამოსის ტარების უფლების შეზღუდვა კონკრეტული საფრთხეების ასარიდებლად.
- შეიძლება გარკვეულ დროს და გარკვეულ რეგიონში არსებობდეს კონკრეტული საფრთხე, რომელიც რელიგიური სამოსის ტარების უფლების შეზღუდვას გამართლებს, თუმცა სასამართლოები განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ ზოგად შეზღუდვებთან. თუ თანმიმდევრულად იქნება გამოყენებული კონკრეტული საფრთხის ჩვენების ტესტი,

ნაკლებსავარაუდოა ზოგადმა აკრძალვამ გაიაროს ის.

- დამსაქმებლის ან კლიენტის სუბიექტური შეხედულებები, მათი სურვილები ან ცრურწმენები ამა თუ იმ რელიგიური სამოსის მატარებელ პირებთან დაკავშირებით, სამუშაოს დამახასიათებელ მოთხოვნად ვერ ჩაითვლება, და შესაბამისად, ვერც გაამართლებს რელიგიური სამოსის აკრძალვას, ან ამის გამო პირის სამსახურიდან გათავისუფლებას. ეს მხოლოდ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციად უნდა დაკვალიფიცირდეს, რაც საქართველოს კანონმდებლობით ცალსახად აკრძალულია.

ამ სტანდარტებით ხელმძღვანელობა საქართველოს სასამართლოებს ერთი მხრივ სამართლიანი ბალანსის მიღწევის საშუალებას მისცემს რელიგიური სამოსის მატარებელი პირის უფლებებსა და სხვა ლეგიტიმურ ინტერესებს შორის, მეორეს მხრივ კი ევროკავშირის სამართალთან, განსაკუთრებით დასაქმებაში დისკრიმინაციის აკრძალვის სამართალთან დაახლოების მნიშვნელოვანი გზა იქნება. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს აქვს ამის ვალდებულება.